# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან ● ფასი 1,5 ლარი

№140 (9971) 2025 წლის 17 ოქტომბერი, პარასკევი


## ასეთ ევროკავშირში რა ჯანდაბა გვინდა?!



იხ. 2 გვ.

დიპლომატიური სკანდალი

„მეგობრები“ ჯოჯოხეთიდან!



იხ. 2-3 გვ.

## გადასინჯავს თუ არა საქართველო ევროინტეგრაციის სტრატეგიას?!





იხ. 4 გვ.

## არაბთა გაერთიანებული საამიროები ძლიერი, საამაყო პარტნიორია

ომარ მარგველაშვილი:

## ღმერთო, შენ დაიფარე ჩემი ქვეყანა და ჩემი ხალხი ოპოზიციისა და დიფ სთეითის შავი ჭირისაგან!..



იხ. 5 გვ.

რა ოპოზიცია, რის ოპოზიცია, ეს საქართველოს მტერია!



## „ქართული ოცნება“ კანონებს სრულიად სამართლიანად ამკაცრებს

3

## მოსკოვი საქართველოსთვის 253 მილიონი დოლარის კომპენსაციის გადახდას არ აპირებს!

11

## «მიჰქროდა ჩემი მიმინო, ფეხებს იბანდა ქარითა...»



იხ. 6-7 გვ.

მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში

## „საზოგადოება ივერიისას“ ეროვნული ნაბიჯი



იხ. 12 გვ.

ნინო ლაცაბიძე:

## ანსამბლი „რუსთავი“ კიდევ უფრო დიდი გეგმებით გვიბრუნდება!



იხ. 12 გვ.




# დიპლომატიური სკანდალი

OSCE
Organization for Security and Co-operation in Europe

## საქართველოს საგარეო უწყება შეშფოთებას გამოთქვამს!

## საპროტესტო ნოტა ეუთოს!

**საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ფინეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ელინა ვალტონენის, როგორც ეუთოს მოქმედი თავმჯდომარის საქართველოში ვიზიტთან დაკავშირებით შეშფოთებას გამოთქვამს და ეუთოს სამდივნოსა და მონაწილე ქვეყნებს საპროტესტო ნოტით მიმართავს,** – ამის შესახებ პირველ არხს საგარეო უწყებაში განუცხადეს.

საგარეო უწყება ეუთოს სამდივნოსთვის გაგზავნილ ნოტაში აღნიშნავს, რომ საქართველოში ოფიციალური ვიზიტით გათვალისწინებული პროგრამის გარდა, მინისტრი ელინა ვალტონენი შეუერთდა ანტისამთავრობო აქტივისტთა მცირე ჯგუფის მიერ ორგანიზებულ ქუჩის აქციას და გააკეთა განცხადება, რომელიც საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ საერთაშორისო საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობაა.

**„საქართველოს საელჩო ავსტრიის რესპუბლიკაში და მუდმივი წარმომადგენლობა ეუთოსა და ქ. ვენაში სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში გამოხატავს თავის ღრმა პატივისცემას ეუთოს სამდივნოს მიმართ და აქვს პატივი, გამოხატოს საქართველოს მთავრობის შეშფოთება ფინეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ელინა ვალტონენის, როგორც ეუთოს მოქმედი თავმჯდომარის საქართველოში ვიზიტთან დაკავშირებით.**

**ეუთოს მოქმედი თავმჯდომარის განხორციელებული პროგრამის ფარგლებს მიღმა, რომელიც მოიცავდა შეხვედრას საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ მაკა ბოჭორიშვილთან, საოკუპაციო ხაზზე ვიზიტს და შეხვედრას სამოქალაქო საზოგადოების რამდენიმე წარმომადგენელთან, მინისტრი ელინა ვალტონენი შეუერთდა ანტისამთავრობო აქტივისტთა მცირე ჯგუფის მიერ ორგანიზებულ ქუჩის აქციას, რომლებმაც 14 ოქტომბერს თავისუფლად, თუმცა არალეგალურად, გადაკეტეს თბილისის მთავარი გამზირი. მინისტრი ვალტონენის მიერ გაკეთებული საჯარო განცხადება, რომელიც არ ასახავს რეალობას, წარმოადგენს შეგნებულ მცდელობას, შეცდომაში შეიყვანოს საერთაშორისო საზოგადოება საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ.**

**ეს ქმედებები ეწინააღმდეგება ეუთოს ფარგლებში თანამშრომლობის სულისკვეთებას და შეიძლება, ჩაითვალოს თავმჯდომარის მანდატის ბოროტად გამოყენებად, რაც აზიანებს ნდობასა და მოსალოდნელ ნეიტრალიტეტს.**

**აღნიშნული ქმედებები შეუთავსებელია საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებთან, რომელთა შორისაა – სუვერენიტეტის პატივისცემა და შიდა საქმეებში ჩაურევლობა, როგორც ეს ასახულია ჰელსინკის დასკვნით აქტში, გაეროს A/RES/20/213 რეზოლუციაში, ეუთოს წესებსა და პროცედურებში და ეწინააღმდეგება დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ ვენის კონვენციის სულისკვეთებას“!**

## შსს-ს ინფორმაციით, ელინა ვალტონენი გზის უკანონო გადაკეტვისთვის დაჯარიმდა!



**ეუთოს თავმჯდომარე და ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ელინა ვალტონენი რუსთაველის გამზირზე გზის უკანონო გადაკეტვისთვის 5 000 ლარით დაჯარიმდა,** – აღნიშნულ ინფორმაციას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ადასტურებენ.

ელინა ვალტონენი 14 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტთან აქციაზე მივიდა. ვალტონენმა რუსთაველის გამზირიდან სოციალურ ქსელით ვიდეომიმართვაც გაავრცელა.

გუშინ ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ელინა ვალტონენმა საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძეს მიმართა:

**„გიწვევთ ფინეთში, შეხვდეთ თავისუფალ პრესას და დააკვირდეთ თქვენთვის სასურველ ნებისმიერ დემონსტრაციას“.**

* * *

**პოლიტიკური ცინიზმი ამაზე შორს ვერ წავა!**

# ასეთ ევროკავშირში რა ჯანდაბა გვინდა?!

## ქართველი ხალხი „წითელი ხაზების“ პირისპირ

**ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანების საკითხი კვლავ დღის წესრიგში დგას, თუმცა მოძრაობა „ერთიანი ნეიტრალური საქართველო“ მმართველი პარტიის – „ქართული ოცნების“ წინაშე მოთხოვნას აყენებს, სასწრაფოდ გადაიხედოს ევროინტეგრაციის პროცესი და ამ უმნიშვნელოვანეს თემაზე საყოველთაო რეფერენდუმი ჩატარდეს. მოძრაობა აქცენტს აკეთებს ევროკომისიის მიერ ახლახან მიღებულ 2026-2030 წლების „ლგბტქ თანასწორობის სტრატეგიაზე“, რომელსაც საქართველოს ეროვნული ინტერესებისა და ტრადიციული ღირებულებებისთვის „მკაფიო წითელ ხაზად“ აფასებს.**

„ერთიანი ნეიტრალური საქართველოს“ განცხადებით, ევროკომისიის ეს დოკუმენტი, რომელიც მომდევნო ხუთ წელზეა გათვლილი, **„ბავშვებში სქესის შეცვლის სამართლებრივ პროცედურებს ამარტივებს“ და წარმოადგენს „დიფ სთეითის“ მიერ შემუშავებულ ვერაგულ გეგმას, რაც მიუღებელია არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ მთლიანად ევროპული მოსახლეობისთვის.**



„ერთიანი ნეიტრალური საქართველოს“ დამფუძნებლის **ლევან ნიკოლეიშვილის** არგუმენტები კი მკვეთრი და ერთობ დამაფიქრებელია:

**„ევროკავშირმა დაკარგა ის ღირებულებები, რის გამოც ჩვენ ვისწრაფვოდით ევროკავშირში გაერთიანებისკენ. უკვე რამდენი ხანია გვესაუბრებიან შანტაჟისა და მუქარის ენით. პირდაპირ გვთხოვენ გავაუქმოთ ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის კანონი, რაც რეალურად, პირდაპირ ნიშნავს ლგბტ პროპაგანდის დაკანონებასა და ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებას. აქედან გამომდინარე, ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუცილებელია დისკუსია და დღის წესრიგში უნდა დადგეს პლებისციტის ჩატარება. საზოგადოებამ უნდა გადაწყვიტოს, გვინდა თუ არა ისეთ კავშირში გაწევრება, რომელიც პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სულიერ დარტყმას მიანიჭებს ქართულ საზოგადოებას და დაფუძნებულია ბლეფზე. ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ უნდა გავცვალოთ რაღაც ყალბ ღირებულებებზე ის, რაც ჩვენთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია – ჩვენი ისტორია, კულტურა, ტრადიციები“,** – ამბობს ნიკოლეიშვილი.

მოძრაობა მოითხოვს, რომ უმოკლეს ვადებში დაინიშნოს რეფერენდუმი, რომლის საშუალებითაც „უტყუარად გამოირკვევა საქართველოს მოსახლეობის ნება“.

ხელისუფლება, მიუხედავად დეკლარირებული პროდასავლური კურსისა, მტკიცედ ამბობს, რომ ქვეყნის სუვერენიტეტი და ტრადიციული ფასეულობები უპირველესია. პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ ამ ინიციატივასთან დაკავშირებით დასმული კითხვის საპასუხოდ აღნიშნა:

**„ზოგადად, ჩვენთვის მიუღებელია ასეთი ულტიმატუმები, როდესაც ერთ მხარეს გიყენებენ ტრადიციულ ფასეულობებს, ოჯახურ ღირებულებებს,**

# „ქართული ოცნება“ აქციებთან დაკავშირებულ კანონებს სრულიად სამართლიანად ამკაცრებს



**შეკრება-მანიფესტაციებთან დაკავშირებული წესები მკაცრდება. როგორც ცნობილია, სწორედ 15 ოქტომბრიდან დაიწყო პარლამენტმა წესების გამკაცრების ინიციატივის განხილვა, რასაც გარკვეული კრიტიკა ქვეყანაში უკვე მოჰყვა. ანალიტიკოსთა და პოლიტიკოსთა ერთი ნაწილი თვლის, რომ მსგავსი მიდგომით, უფრო მეტად შეექმნება საფრთხე საქართველოში დემოკრატიას და სიტყვის თავისუფლება შეიზღუდება, თუმცა მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ აუცილებელია კანონის გამკაცრება, რადგან არასამართლიანია, 100 კაცი კეტავდეს რუსთაველს მაშინ, როდესაც სხვა ბევრ მოქალაქეს გადაადგილებაზე დისკომფორტი ექმნება.**

**„ჯარიმები ბოლომდე ეფექტიანი არ იყო და სწორედ ამის გათვალისწინებით შედის ცვლილებები, როგორც ადმინისტრაციულ, ისე სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, რათა უმცირესობამ არ იძალადოს უდიდეს უმრავლესობაზე – ეს არის დემოკრატიის პრინციპის გამოხატულება“,** – განაცხადა ამ თემაზე საუბრისას პრემიერმა **ირაკლი კობახიძემ.**

მისივე თქმით, კანონმდებლობის მიხედვით, „თუ ადამიანების რაოდენობა არაა საკმარისი ქუჩის გადასაკეტად, პატივი უნდა სცენ საზოგადოების სხვა წევრებს და არ უნდა გადაკეტონ ქუჩა“.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი **ანა წითლიძე** აცხადებს, რომ „ამ ადამიანებს ვერ შეაშინებთ სისხლის სამართლის კოდექსით“.

საკანონმდებლო ცვლილებებზე კანონპროექტი პარლამენტში უკვე ინიცირებულია და განხილვები გრძელდება.

**„სისხლის სამართლის კოდექსსა“ და „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ დაგეგმილ ცვლილებებს იურიდიულ საკითხთა კომიტეტი განიხილავს, რის შემდეგაც საკითხი პლენარულ სხდომაზე გავა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საკანონმდებლო პაკეტს დაჩქარებული წესით განიხილავენ. ცვლილებების თანახმად, შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილის მიერ სახის ნიღბით დაფარვის, ცრემლსადენი, ან მომწამვლელი ნივთიერების ქონის, გზის გადაკეტვის, ან დროებით კონსტრუქციის მოწყობის პირველივე შემთხვევა გამოიწვევს ადმინისტრაციულ პატიმრობას 15 დღემდე ვადით, ხოლო თუ სამართალდამრღვევი აქციის ორგანიზატორია – ადმინისტრაციულ პატიმრობას 20 დღემდე ვადით. გარდა ამისა, „სისხლის სამართლის კოდექსს“ ემატება ახალი მუხლი, რომლითაც სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება იმ პირს, რომელიც სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელს მესამედ მიაყენებს შეურაცხყოფას, ან მის კანონიერ განკარგულებას არ დაემორჩილება.**

საკანონმდებლო პაკეტის ავტორი და ინიციატორები „ქართული ოცნების“ დეპუტატები არიან.

ანალიტიკოსი **ედიშერ გვენეტაძე** For.ge-სთან ინტერვიუში აღნიშნავს, რომ შეკრება-მანიფესტაციებთან დაკავშირებული წესების გამკაცრება აუცილებელია, რადგან არ შეიძლება უმრავლესობის უფლებები ირღვეოდეს იმ უმცირესობის გამო, რომელიც სულ რაღაც 100-150 კაცს შეადგენს.

**„ყველაფერს აქვს თავისი საზღვარი. დემოკრატია, პირველ რიგში, არის კანონის უზენაესობა. დემოკრატია, ამავე დროს, არის ის, რომ უმცირესობამ პატივი სცეს უმრავლესობას და არ მიეცეთ იმის საშუალება, რომ მათი წესები, ამბიციები და ახირებები თავს მოახვიოს უმრავლესობას. ქვეყანა უნდა იმართებოდეს კანონების მიხედვით – კანონის გამკაცრება საჭიროა მაშინ, როდესაც მას არსებული ვითარება მოითხოვს. ასე რომ, სავსებით რეალურად მიმაჩნია, რომ სხვა მოქალაქეების ხარჯზე არ უნდა ხდებოდეს პროტესტების გამოხატვა. არავინ უშლის პროტესტის გამოხატვას, დადგნენ ტროტუარზე, რამდენხანსაც უნდათ, იმდენხანს იყვნენ და გამოხატონ პროტესტი, მაგრამ არა გზის გადაკეტვით – ვინ იცის, რამდენს უჭირს, რამდენს სასწრაფო საქმეზე მიეჩქარება და არავინ მისცემს მათ იმის უფლებას, რომ ქვეყანაში ქაოსი შემოიტანონ. სავსებით სწორად და დაგვიანებულადაც კი მიმაჩნია ის, რის მიღებასაც პარლამენტი აპირებს“,** – განაცხადა **ედიშერ გვენეტაძემ.**

ამის ფონზე, რუსთაველის გამზირზე საპროტესტო აქციები გრძელდება. მოქალაქეებმა საავტომობილო გზა, ტრადიციულად, 14-15 ოქტომბერსაც გადაკეტეს.

**საკანონმდებლო ორგანოს წინ უწყვეტი პროტესტი 321-ე დღეა მიმდინარეობს.**

**დემონსტრანტების მოთხოვნები კი უცვლელია: დაინიშნოს ახალი არჩევნები და გათავისუფლდნენ აქციების ფარგლებში დაკავებული პირები.**

**ნიკო ჩოხელი**

# გადასინჯავს თუ არა საქართველო ევროინტეგრაციის სტრატეგიას?!

**არასრულწლოვანთა ინტერესებს, მეორე მხარეს – ევროინტეგრაციას. ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ ასეთი დილემებით უნდა ესაუბრებოდნენ ჩვენს საზოგადოებას, რომ ან უარი უნდა თქვა ევროინტეგრაციაზე ან უარი უნდა თქვა ტრადიციულ ფასეულობებზე – ეს არ არის სწორი და ჯანსაღი დილემა. შესაბამისად, საკითხი, თავისთავად, აქტუალურია. ჩვენი კანონები ეფექტიანად უზრუნველყოფს რისკების პრევენციას და სწორედ ამიტომ დარდობენ ის ძალები და ადამიანები, რომლებიც საქართველოში აწარმოებენ მანკიერ პროპაგანდას... ეს კანონები უნდა დარჩეს ძალაში“,** – ამბობს პრემიერი.

ეს რიტორიკა მიუთითებს, რომ ხელისუფლება მზადაა, დაიცვას ეროვნული ინტერესები იმ ფონზე, როდესაც ქვეყნის წინააღმდეგ დასავლეთიდან მომდინარეობს უმძიმესი ბრალდებები და დაპირისპირება. გაჟღერდა მუქარები ვიზალიბერალიზაციის შეჩერების შესახებაც, რაც ნათლად აჩვენებს გლობალური ძალების მცდელობას, საქართველო იძულებით დააყენონ ისეთ გზაზე, რომელიც ეწინააღმდეგება ქართველი ხალხის უმრავლესობის შეხედულებებს.

დანიშნავს თუ არა ხელისუფლება რეფერენდუმს ევროკავშირში გაწევრების საკითხზე? ამ ეტაპზე ეს კითხვა ღიად რჩება. ხელისუფლების მიერ ფასეულობების პრიორიტეტულობაზე გამახვილებული ყურადღება ზრდის რეფერენდუმის ჩატარების ალბათობას, რათა დადასტურდეს ხალხის ნება. თუ რეფერენდუმის საკითხი დაისმება „ერთიანი ნეიტრალური საქართველოს“ მიერ შემოთავაზებული ფორმულირებით, სადაც ტრადიციული ღირებულებები გაწევრების პირობად წარმოჩინდება, არსებობს საფრთხე, რომ მოსახლეობის დიდმა ნაწილმა უარი თქვას იმ „ახალ ევროკავშირზე“, სადაც ეროვნული და სულიერი ფასეულობები იჩაგრება.

თეორიულად, საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლის (ევროინტეგრაციის ვალდებულება) გაუქმების მცდელობაც, შესაძლოა, სწორედ მსგავს რეფერენდუმს დაუკავშირდეს, რაც ხალხის ნებაზე დაყრდნობით უზრუნველყოფს ქვეყნის სუვერენიტეტის დაცვას. თუმცა, კონსტიტუციის ამ მუხლის გაუქმებას საკონსტიტუციო უმრავლესობა სჭირდება, რაც „ქართულ ოცნებას“ ამჟამად არ გააჩნია. ამიტომ „ქართული ოცნებისთვის“ კურსის გადასინჯვა არის რთული, მაგრამ პრინციპული ნაბიჯი, რომელიც ხალხის ინტერესებს უნდა დაეფუძნოს და საბოლოოდ, ეროვნული ფასეულობების ხელშეუხებლობას უზრუნველყოფს.

„ხალხის ძალის“ წევრი და ანალიტიკოსი **დავით ქართველიშვილი** for.ge-სთან ამბობს, რომ ნამდვილად საჭიროა საქართველოს მოსახლეობას რეფერენდუმის სახით დავუსვათ კითხვა, სურთ თუ არა ევროკავშირში გაწევრება და მათი პასუხის შესაბამისად უნდა იმოქმედოს ხელისუფლებამაც.

**„78-ე მუხლი საქართველოს კონსტიტუციაში 2010 წელს, სააკაშვილის დროს იქნა მიღებული, რომელიც მომდევნო პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ, მეორე დღესვე ძალაში უნდა შესულიყო. ასეც მოხდა, როცა მარგველაშვილმა გაიმარჯვა და მისი ინაუგურაციის შემდეგ, 78-ე მუხლი საქართველოს კონსტიტუციაში გაჩნდა და ქვეყნის პოლიტიკური განაცხადი გახდა ევროკავშირში გაწევრება. თუმცა, მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა თავად ევროკავშირშიც და საქართველოშიც. ევროკავშირი ჩვენს ქვეყანასთან და მის მოქმედ ხელისუფლებასთან პირდაპირ მტრულ გზას დაადგა.**

**ამიტომ ლოგიკურია, რომ მოსახლეობას შევეკითხოთ, ამ ევრობიუროკრატიასთან, რომელმაც მიიღო ლგბტ თემთან დაკავშირებით ისეთი გადაწყვეტილებები, რომელიც უკვე მოზრდილების და ბავშვების სქესის შეცვლას უწყობს ხელს, გვინდა კი მჭიდრო ურთიერთობა?!. ეს კი უკვე ავტომატურად სავალდებულო სახეს მიიღებს ევროკავშირში გაწევრების მსურველი ქვეყნებისთვისაც. ამიტომ მოდი, შევეკითხოთ მოსახლეობას, სურთ თუ არა ჩვენთვის უცხო ფასეულობების თავზე მოხვევა. რასაც გვიპასუხებს ხალხი, იმის მიხედვით ვიმოქმედოთ ჩვენც“,** – ამბობს **ქართველიშვილი.**

რაც შეეხება ევროკავშირის კვლევას, რომლის მიხედვითაც საქართველოს მოსახლეობის 74% მხარს გაწევრებას უჭერს, ქართველიშვილი ამბობს, რომ ასეთი კვლევების მიმართ სანდოობა ნაკლებია, ამ კვლევების ძალიან ცოტა ვინმეს თუ სჯერა!

**კითხვაზე, თუკი მოსახლეობის დიდი ნაწილი ხმას მისცემს იმას, რომ არ სურს ევროკავშირში გაწევრება, როგორ უნდა ამოიღოს კონსტიტუციიდან ხელისუფლებამ 78-ე მუხლი, როცა საკონსტიტუციო უმრავლესობა არა აქვს, ქართველიშვილი პასუხობს, რომ შესაძლოა, ამისთვის ხელისუფლებას რიგგარეშე არჩევნების ჩანიშვნა დასჭირდეს, სადაც დარწმუნებული იქნება, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობას აიღებს.**

**ლიკა ბერიკაშვილი**

# არაბთა გაერთიანებული საამიროები ძლიერი, საამაყო პარტნიორია




**საქართველო მშვიდობიანი ქვეყანაა მკაფიო ხედვითა და სტაბილურობის შენარჩუნების იდეისადმი ერთგულებით, ერთ-ერთი ყველაზე უსაფრთხო ქვეყანა ვართ და ეს სხვადასხვა გლობალური ინდექსით დასტურდება,** – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი კობახიძემ** არაბთა გაერთიანებული საამიროების გამოცემა Gulf News-თან ინტერვიუში განაცხადა. როგორც პრემიერმა **აღნიშნა, მშვიდობა, უსაფრთხოება და სტაბილურობა მთავარი პრიორიტეტებია.**

**„საქართველო ლამაზი ქვეყანაა, რომელიც პოპულარიზაციას იმსახურებს. ძალიან ღია ქვეყანა ვართ ტურისტებისთვის, ინვესტორებისთვის და ნებისმიერი სტუმრისთვის. მათ ყოველთვის მივესალმებით საქართველოში, იქნება ეს დასასვენებლად თუ ინვესტირებისთვის. მათ არა როგორც ტურისტებს ან ბიზნესმენებს ევყრობიან, არამედ როგორც სტუმრებს და ეს ყოველთვის ასე იქნება. სტუმართმოყვარეობა ქართული კულტურის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია და ჩვენ ამით ვამაყობთ“,** – განაცხადა **ირაკლი კობახიძემ.**

ვამაყობთ შესანიშნავი თანამშრომლობით, ძლიერი პარტნიორობითა და საერთო ღირებულებებით არაბთა გაერთიანებულ საამიროებთან.

* * *

**„მე ორჯერ ვიყავი არაბთა გაერთიანებულ საამიროებში: პირველად ოფიციალური სახელმწიფო ვიზიტით, შემდეგ კი EMAAR ჯგუფის 6.6 მილიარდი დოლარის ინვესტიციის შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმის ხელმოწერისთვის. ეს ინვესტიცია ხელს შეუწყობს ეკონომიკურ განვითარებას, რაც წლიური მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მინიმუმ 1.5%-ს შეადგენს. მოუთმენლად ველით ამ პროექტის განვითარებას, განსაკუთრებით თბილისისა და ბათუმის გარშემო.**

**ვამაყობთ შესანიშნავი თანამშრომლობით, ძლიერი პარტნიორობითა და საერთო ღირებულებებით არაბთა გაერთიანებულ საამიროებთან. შეთანხმება ჩვენს კავშირებს აძლიერებს და არაბთა გაერთიანებული საამიროები შესანიშნავი მაგალითია იმ ქვეყნისა, რომლისგანაც შეგვიძლია ვისწავლოთ.**

**მსოფლიოში არსად უნახავთ ისეთი წინსვლა, რასაც არაბთა გაერთიანებულმა საამიროებმა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მიაღწია, რაც შთამბეჭდავი ცვლილებებით გამოიხატა. მსგავსი პროგრესის მისაღწევად ჩვენ კარგად უნდა შევისწავლოთ მათ მიერ განხორციელებული რეფორმებისა და ცვლილებების ძირითადი საყრდენები. მადლიერები ვართ მათთან შესანიშნავი თანამშრომლობისთვის. უმნიშვნელოვანესია მათი პროგრესის ყველა ასპექტის შესწავლა, არაბთა გაერთიანებული საამიროების შესანიშნავი ლიდერების გათვალისწინებით, რომელმაც წარმატებით განახორციელა თავისი ეროვნული ხედვა. არაბთა გაერთიანებული საამიროების ლიდერები ღრმად არიან ერთგულნი თავიანთი ხალხის მიმართ და დაუღალავად მუშაობენ ქვეყნის განვითარებისთვის. მათგან უნდა ვისწავლოთ.**

**კვლავაც ენთუზიაზმით ვუჭერთ მხარს ჩვენს თანამშრომლობას და ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ინტერესი არსებობს სხვადასხვა სფეროში, განსაკუთრებით ინვესტიციების მიმართ. ტურიზმი საქართველოს განვითარების მნიშვნელოვანი სფეროა და გვიხარია, რომ ეს რიცხვები მუდმივად იზრდება. სხვადასხვა სექტორში ვთანამშრომლობთ წინსვლის მისაღწევად და მუშაობას ვაგრძელებთ გაუმჯობესების მიმართულებით“,** – აღნიშნავს პრემიერ-მინისტრი.




## ირაკლი კობახიძე: EMAAR ჯგუფის 6.6 მილიარდი დოლარის ინვესტიცია ხელს შეუწყობს ეკონომიკურ განვითარებას, რაც წლიური მშპ-ის სულ მცირე 1.5%-ს შეადგენს

ბოლო სამი წლის განმავლობაში გავაუმჯობესეთ დასაქმების მაჩვენებელი, სულ 190 000 ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნა საქართველოში, რომლის მოსახლეობა 3.7 მილიონია, ეს დასაქმების თვალსაზრისით, დადებით ტენდენციას ასახავს.

* * *

**„2020 წელს ერთ სულ მოსახლეზე მშპ დაახლოებით 4 250 აშშ დოლარს შეადგენდა, ხოლო 2024 წლისთვის ის დაახლოებით 9 000 აშშ დოლარამდე გაიზარდა. ვალდებულნი ვართ, შევინარჩუნოთ ეს დადებითი ეკონომიკური ტრაექტორია. ეს ზრდა დადებითად მოქმედებს ჩვენი მოქალაქეების სოციალურ მდგომარეობაზე, დასაქმებულთა რაოდენობა მუდმივად იზრდება. ბოლო სამი წლის განმავლობაში ჩვენ უკვე გავაუმჯობესეთ დასაქმების მაჩვენებელი, სულ 190 000 ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნა. საქართველოში, რომლის მოსახლეობა 3.7 მილიონია, ეს დასაქმების თვალსაზრისით დადებით ტენდენციას ასახავს.**

**ეკონომიკური განვითარება ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია, მაგრამ სხვა პრიორიტეტებიც გვაქვს, რომლებზეც უნდა გავამახვილოთ ყურადღება, როგორიცაა საქართველოს საერთაშორისო პოზიციის გაძლიერება და პარტნიორობის დამყარება. მრავალ ვიზიტს ვახორციელებთ მეზობელ ქვეყნებში და ფართო რეგიონში. ეს ვიზიტები ხელს უწყობს ეკონომიკური თანამშრომლობის გაძლიერებას და საქართველოს, როგორც ქვეყნებს შორის დამაკავშირებელი ცენტრის, როლის გაძლიერებას“,** – აცხადებს პრემიერ-მინისტრი.

ენერგეტიკის სექტორში საინვესტიციო აქტივობების უზარმაზარი პერსპექტივა არსებობს, ძირითადად ჰიდრო, ქარის და მზის ენერგიაზე.

**„ენერგეტიკის სექტორში საინვესტიციო აქტივობების უზარმაზარი პერსპექტივა არსებობს, ძირითადად ჰიდრო, ქარის და მზის ენერგიაზე. საქართველო მდიდარია ამ რესურსებით და ჩვენ მკაფიო გეგმა გვაქვს, რომ 2028 წლისთვის ელექტროენერგიის სიმძლავრეები სტაბილურად გავზარდოთ რვა გიგავატამდე, ხოლო 2030 წლისთვის ათ გიგავატამდე. ეს იმას უზრუნველყოფს, რომ საქართველო ელექტროენერგიის მიწოდების თვალსაზრისით თვითკმარი გახდება, ხოლო შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის პროექტი საშუალებას მოგვცემს, ელექტროენერგიის ექსპორტი ევროპის ქვეყნებში განვახორციელოთ და საქართველო ციფრულ ცენტრად ვაქციოთ. ინვესტიციებისთვის სხვა ხელსაყრელ სექტორებს შორისაა ტურიზმი და სოფლის მეურნეობა, რომლებიც ეკონომიკის ტრადიციული საყრდენებია. უძრავი ქონებაც მზარდია საქართველოს ეკონომიკაში. ამავდროულად, 2021 წლიდან სწრაფი ზრდა შეინიშნება ინფორმაციული ტექნოლოგიების სექტორში და ჩვენ გვსურს, რომ კიდევ უფრო გავაძლიეროთ ქართული ეკონომიკის ეს დარგი. ყველა ამ სექტორს მოვიცავთ ჩვენს ხედვაში და ორიენტირებულები ვართ მიღწეული წინსვლის შენარჩუნებაზე“...**

* * *

**„ძალიან ლიბერალური ეკონომიკური და საგადასახადო პოლიტიკა გვაქვს. საქართველოში ხელსაყრელი გარემოა ბიზნესისა და ინვესტიციებისთვის, რაც ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. ხელისუფლება ძალას არ იშურებს ეკონომიკური განვითარების ხელშესაწყობად, ვახორციელებთ ინვესტიციებს საქართველოს დაკავშირებადობის უნარის გაძლიერებაში, რაც ჩვენი პოდევ ერთი მთავარი პრიორიტეტია. საქართველოს სტრატეგიული მდებარეობა ზრდის ჩვენი დამაკავშირებელი ფუნქციის სიძლიერეს და ჩვენ მას ვიყენებთ ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის მაქსიმალურად ასათვისებლად. გვსურს, რომ საქართველოს ეს ფუნქცია გავაძლიეროთ შუა დერეფნის კონტექსტში.**

**ამ მიზნით, დიდ ინვესტიციებს ვახორციელებთ ინფრასტრუქტურაში. ვაშენებთ ახალ მაგისტრალებს, რომლებიც მთელ ქვეყანას მოიცავს. წლის ბოლომდე დასრულდება თბილისიდან აჭარამდე ავტომაგისტრალის მშენებლობა. იგეგმება, მაგისტრალების მშენებლობა აზერბაიჯანისა და სომხეთის საზღვრებამდე გაგრძელდეს“.**

მისივე თქმით, გარდა ამისა, ინვესტიციები ხორციელდება რკინიგზისა და აეროპორტების ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით.

**„ინვესტიციებს ვახორციელებთ რკინიგზისა და აეროპორტების ინფრასტრუქტურაში და მალე დავიწყებთ ახალი საერთაშორისო აეროპორტის მშენებლობას თბილისში. თბილისის ამჟამინდელი აეროპორტი, დაახლოებით, 4 მლნ მგზავრზეა გათვლილი, ხოლო ახალი აეროპორტი 18 მლნ მგზავრს მოემსახურება. საქართველოში ვიზიტორთა რაოდენობა ყოველწლიურად, სტაბილურად იზრდება და ახალი აეროპორტი ამ მოთხოვნას დააკმაყოფილებს. ჩვენი მიზანია, საქართველო იქცეს რეგიონის ცენტრად როგორც ტურიზმის, ისე სხვა მიმართულებებით. ასევე ვაფართოებთ ქვეყანაში სიდიდით მეორე აეროპორტის, ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის შესაძლებლობებს. ამისთვის შემუშავებული გვაქვს კონკრეტული პროექტები, რომლებიც გასულ წელს დაიწყო. საზღვაო პორტის ინფრასტრუქტურა ინვესტიციებისთვის კიდევ ერთი პრიორიტეტია, ვგეგმავთ ახალი ღრმაწყლოვანი პორტის აშენებას ანაკლიაში, შავ ზღვაზე. თბილისის მშრალმა პორტმაც წარმატებით დაიწყო ფუნქციონირება“.**

* * *

**„კარგად ვახერხებთ კორუფციის დაბალი დონის შენარჩუნებას და სხვადასხვა ინდექსის მიხედვით, უკეთესი მდგომარეობა გვაქვს, ვიდრე ევროკავშირის რამდენიმე წევრ სახელმწიფოს. ყველა ეს პირობა ქმნის შესაბამის სივრცეს პოტენციური ინვესტორებისთვის ბიზნესსაქმიანობის განსახორციელებლად. რეგულარულად ვავითარებთ კონკრეტულ საინვესტიციო პროექტებს, რათა სხვადასხვა ქვეყნიდან მოვიზიდოთ ინვესტორები. საქართველო ხელსაყრელ და მომგებიან გარემოს უზრუნველყოფს ეკონომიკური საქმიანობის დასაწყებად. შესაძლებლობები მორგებული გვაქვს ისეთი სექტორების მოთხოვნებზე, რომლებიც დაბეგვრის დაბალი განაკვეთით სარგებლობენ, როგორიცაა, მაგალითად, ინფორმაციული ტექნოლოგიები.**

**ასევე, ვცდილობთ, კიდევ უფრო მეტად გავაუმჯობესოთ ჩვენი საინვესტიციო კლიმატი. საქართველოს კონსტიტუციაში გვაქვს დათქმა, რომლითაც გადასახადების გაზრდა რეფერენდუმის გარეშე არ შეიძლება. აქამდე არცერთი რეფერენდუმი არ ჩატარებულა, რაც მყარ სტაბილურობაზე და ინვესტორებისთვის უსაფრთხო გარემოზე მეტყველებს. ეს დათქმა ასევე არწმუნებს ინვესტორებს, რომ არსებული გადასახადების განაკვეთის ზრდა ან ახალი გადასახადის შემოღება კენჭისყრის გარეშე არ მოხდება...**

საქართველოს რესპუბლიკა






# ღმერთო, შენ დაიფარე ჩემი ქვეყანა და ჩემი ხალხი ოპოზიციისა და დიფ სთეითის შავი ჭირისაგან!..

## რა ოპოზიცია, რის ოპოზიცია!

**ეს რადიკალური ოპოზიცია კი არა, ეს საქართველოსა და ქართველი ხალხის უბოროტესი მტერია, რომელმაც, მიუხედავად უდიდესი მცდელობისა, ვერ მიაღწია ვერც რუსეთთან ომში ჩათრევას და სისხლისღვრას, ვერც სანქციებს პუტინის წინააღმდეგ.**

**უკრაინელ ხალხს ჩვენმა ხელისუფლებამ სერიოზული დახმარება გაუწია, მაგრამ უკრაინის უდღეურმა ხელისუფლებამ და უმადურმა, კლოუნმა პრეზიდენტმა ზელენსკიმ ჩვენი კეთილგონიერი ხალხის და ხელისუფლების მხარდაჭერა არაფრად ჩააგდო და ქართველი ბოროტმოქმედების ხელით უკრაინიდან გვიგზავნის საქართველოში არეულობისა და ხელისუფლების ძალადობრივი დამხობისთვის უამრავ ასაფეთქებელ ნივთიერებას და საბრძოლო იარაღს.**

ეს იციან როგორც ამერიკის, ისე ევროპის სახელისუფლებო სტრუქტურებში მოკალათებულმა დიფ სთეითის აგენტებმა, რომლებიც მხარს უჭერენ და დიდძალ ფინანსურ დახმარებას უწევენ რადიკალებს – უჯიშო და უსამშობლო ოპოზიციას.

ჩვენი ხელისუფლება კი ოლიმპიური სიმშვიდით უყურებს მათ უმსგავსობას. დროულად არ აპატიმრებენ ამ ბოროტმოქმედებს, ან აპატიმრებენ და სწრაფად ათავისუფლებენ მათ, ისინი კი გათავისუფლებისთანავე გარბიან აშშ-ში ან ევროპაში ისევ დასაბეზღებლად და ცილისწამებისთვის, იქიდან კი მსუყე ფინანსებით ბრუნდებიან.

**ჩვენი ქვეყნის და ხალხის დაცვა ხელისუფლებისა და ძალოვანი სტრუქტურების მოვალეობაა. ყველა ღონისძიება ამ ბრბოს დასაშლელად და გასანეიტრალებლად უნდა ჩატარდეს დროულად, წინსწრებით, ოპერატიულად. დაგვიანებული ღონისძიება არაეფექტურია, თუნდაც წყლის ჭავლით ამ ხროვის დაშლა. იმიტომაა აუცილებელი, რომ მათი ღნავილი, წივილ-კივილი, უბინძურესი საქციელი გრძელდება ასე ხანგრძლივად. ხალხი შეძრწუნებულია! ბევრი დაავადდა, ტელევიზორის ჩართვა ზარავს, განსაკუთრებით ხანდაზმულებს.**

ჩვენი ტელეგადაცემები საუკეთესო იყო მთელ საბჭოეთში. საბჭოთა პერიოდში ამგვარ უმსგავსობას, თავხედობას, ბოროტმოქმედებას ვერავინ გაბედავდა და, რაც მთავარია, ასეთი უსაქციელობის არავითარი საჭიროება არ იყო. აბა, რა სიკეთე მოგვიტანა ეროვნულ-გამათავისუფლებელმა მოძრაობამ – მარტო დამოუკიდებლობის აქტის გაფორმება? – რომელმაც არაფერი არ გაგვიუმჯობესა, პირიქით, ძალიან გაგვიუარესა – უმუშევრობა, სავალალო დემოგრაფიული მდგომარეობა, მოსახლეობის ეკონომიკური და ფინანსური სიდუხჭირე, პრობლემები ეკოლოგიის, განათლების, ჯანდაცვის, კულტურის, სოფლის მეურნეობისა თუ მრეწველობის სფეროებში, სუიციდის, ნარკომანიის, პროსტიტუციის, მამათმავლობის, კრიმინალის კატასტროფული ზრდა და სხვა უამრავი სოციალური პრობლემა!..

რაც ყველაზე შემზარავია, ძმათამკვლელი ომი, ნგრევა, მთელი საქართველოს სახალხო მეურნეობის, განსაკუთრებით მრეწველობის განადგურება. ურიცხვი ჯანმრთელი ახალგაზრდა მივაბარეთ მიწას და მივიღეთ ლტოვილთა უზარმაზარი ნაკადი.

სწორედ ამიტომ დაბეჯითებით შემიძლია გითხრათ, რომ ეს იყო არა ეროვნულ-გამათავისუფლებელი, არამედ ქვეყნის დამანგრეველი და გამანადგურებელი მოძრაობა!

* * *

**ამ ბოლო დროს ჩვენთან ხელისუფლების ძალადობრივი დამხობის მცდელობა ხუთჯერ იყო. ლამის გადაბუგეს, გადაწვეს, გაანადგურეს თბილისი.**

ხელისუფლება, თბილისის მერია, ადმინისტრაციული ორგანოები, ვიმეორებ, გამაოგნებელი სიმშვიდით უყურებდნენ ამ უბედურებას. ნუთუ ისინი ვერ ხვდებიან, რომ მთავრობის გატარებული ღონისძიებები სრულიად არაეფექტური და უშედეგოა? ასე რატომ ეშინიათ უცხოელი აგენტების! არც ერთი უცხო ქვეყნის ელჩს არ გამოუთქვამს ობიექტური და სამართლიანი პოზიცია. ისინი თავიანთი ქვეყნების პოლიტიკურ შეხედულებებსა და მოსაზრებებს, ძირითადად მდუმარებით გამოხატავენ. ვაი ჩვენი ბრალი – რა უსამართლო მსოფლიოში გვიხდება ცხოვრება!..

ზოგჯერ გულწრფელად მებრალება ჩვენი ახალგაზრდა ხელისუფლება.

ჩემი აზრით, მხოლოდ ჩვენი ეროვნული პოზიციის სიმტკიცით შევძლებთ გადავირჩინოთ თავი, მაგრამ რა ვუყოთ ამ აბობოქრებულ ევროპასა და ჩვენს უგუნური მოსყიდულ ოპოზიციას, რომლებმაც თბილისი წალეკეს?

„იმედის" ტელევიზია ქადაგებს: გაიმარჯვა საქართველომო! ჩვენი ულამაზესი თბილისის წაბილწვა და პრეზიდენტის სასახლის შტურმი თუ საქართველოს გამარჯვებაა, კარგად ყოფილა ჩვენი საქმე. ეს მავნებლები სკოლის მოსწავლეებსაც კი რთავენ ამ ბინძურ უსაქციელობაში.

**მეცოდება ჩემი სამშობლო ამ უბოროტესი რადიკალების (ვითომ ოპოზიციის), ურწმუნოთა და უგუნურთა ხელში.**

**ღმერთო, მუხლმოდრეკილი გევედრები, დაიფარე ჩემი ქვეყანა, ჩემი ხალხი ამ შავი ჭირისაგან.**



**ომარ მარგველაშვილი,**
საქართველოს საინჟინრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი, ნიკო ნიკოლაძისა და ნიკო ლორთქიფანიძის პრემიების ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი.

(5 ოქტომბერი, 2025 წ).

# სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი 80 წლისაა!

**საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ მარიამ ლაშხმა სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის დაარსებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა.**

მარიამ ლაშხმა სიტყვით გამოსვლისას ყურადღება გაამახვილა ინსტიტუტის მრავალწლიან ისტორიასა და მნიშვნელოვან როლზე, რომელიც ინსტიტუტმა საქართველოში მეცნიერების განვითარებაში ითამაშა. მისი თქმით, სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი წლების განმავლობაში იყო და კვლავ რჩება უმნიშვნელოვანეს სამეცნიერო ცენტრად, სადაც მომუშავე მეცნიერებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ქვეყნის სამეცნიერო პოტენციალის განმტკიცებასა და ახალი თაობის მკვლევართა აღზრდაში.

**„გილოცავთ შრომის, ბრძოლის, აღმოჩენებისა და სიძლიერის 80 წლისთავს. ეს არის დრო, რომელმაც დაგვიტოვა დიდი სახელები, მაგრამ ასევე დიდი პასუხისმგებლობაც, რომ ტრადიცია გავაგრძელოთ. მჯერა, რომ სოხუმის ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი მომავალშიც იქნება ერთ-ერთი ძლიერი საყრდენი საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სფეროში"**, – განაცხადა **მარიამ ლაშხმა.**




კომიტეტის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ინსტიტუტის თანამშრომლებს მრავალწლიანი შრომისა და ერთგულებისათვის და აღნიშნა, რომ სახელმწიფოსთვის პრიორიტეტულია მეცნიერების განვითარება, ინოვაციების ხელშეწყობა და ახალგაზრდა მკვლევართა მხარდაჭერა.

ღონისძიების მონაწილეებს სიტყვით ასევე მიმართეს: თავდაცვის მინისტრის მოადგილემ **დავით კუპატაძემ,** განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილემ **ზვიად გაბისონიამ,** აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრმა **ბექა ღვაჩლიანმა** და სხვა მოწვეულმა სტუმრებმა.

ღონისძიებას ესწრებოდა პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე **გიორგი ჩაკვეტაძე.**

საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი მართავს საერთაშორისო კონფერენციას თემაზე – „თანამედროვე მასალები და ტექნოლოგიები". კონფერენციაში ადგილობრივი, საერთაშორისო სამეცნიერო და აკადემიური სფეროს წარმომადგენლები მონაწილეობენ.



პროტოპრესვიტერი გიორგი ზვიადაძე, როინ მეტრეველი, რამაზ ხუროძე.




**დიდებული საჩუქარი მიიღო ახლახან ქართულმა საზოგადოებამ: ცნობილი მეწარმისა და ქველმოქმედის ვახტანგ ვეფხვაძის თაოსნობითა და თანადგომით, გამოიცა სამამულო მწერლობის ბუმბერაზის ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი წიგნი. სწორედ ამ სოლიდური, უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე გაფორმებული ლიტერატურულ-მხატვრული კრებულის წარდგინება გაიმართა 13 ოქტომბერს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში.**

# «მიჭქროდა ჩემი მიმინო, ფეხებს იბანდა ქარითა...»



ვახტანგ ვეფხვაძე

**ვიდრე „ვაჟა-ფშაველას“ პრეზენტაციის მიმდინარეობის შესახებ გიამბობდეთ, პატივცემულო მკითხველო, ორიოდე სიტყვით მოგითხრობთ მისი შექმნის იდეის ავტორისა და მხარდამჭერის, ბატონ ვახტანგ ვეფხვაძის, ასევე თავად კრებულის შესახებ.**

ცნობილი ბიზნესმენი და მეცენატი, ბატონი **ვახტანგ ვეფხვაძე**, წლების განმავლობაში ფრთას ასხამს თავისი ახალგაზრდობის ჩანაფიქრს და საკუთარი ხარჯით გამოსცემს სახელოვანი ქართველი კალმოსნების ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველ შესანიშნავ წიგნებს. მისი დაფინანსებით უკვე იხილეს დღის სინათლე „სუხიშვილების“, აკაკი წერეთლის, გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის და ირაკლი აბაშიძის ბიოგრაფიებისა და მოღვაწეობის ამსახველმა, დიდი გემოვნებით ილუსტრირებულმა და არაჩვეულებრივი დიზაინის მქონე გამოცემებმა.

ცოტა ხნის წინათ კი, როგორც აღვნიშნეთ, მკითხველმა მიიღო ქართული ლიტერატურის გამორჩეული კლასიკოსის, ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი კიდევ ერთი, მეტად საგულისხმო წიგნი.

**„მადლობელი ვარ, დამბადებელო,
ჩემიდან შეჰქმენ ისეთი გუნდა,
როგორიც ამ დღეს საჭირო არი,
სამშობლოს წყლულებს როგორიც უნდა.
ეკლებზე ვწევარ, არაფერს ვიმჩნევ,
მაინც ღმერთს ვმადლობ —
ეშმაკს შეჰშურდა“.**

— ვაჟა-ფშაველას ეს სტრიქონები ერთგვარი წანამძღვარია ამ არაჩვეულებრივი წიგნისა, რომელშიც, წინა გამოცემების მსგავსად, რჩეულ პოეტურ თუ პროზაულ ქმნილებებთან ერთად, შესულია მგოსნის გენეალოგია, უახლოესი ადამიანების მოგონებები, ქართველი მწერლების, მათ შორის, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის, გალაკტიონ და ტიციან ტაბიძეების, კონსტანტინე გამსახურდიას, გიორგი ლეონიძის, შიო მღვიმელის, გრიგოლ რობაქიძის, მიხეილ ჯავახიშვილის, პაოლო იაშვილის, იოსებ გრიშაშვილის, ლევან გოთუას, გრიგოლ აბაშიძისა და სხვათა წერილები, მიძღვნილი ვაჟას შემოქმედებისადმი. გარდა ამისა, კრებულში შეტანილია პოეტის რამდენიმე პირადი წერილი და სათანადო ფოტომასალა.

„პოეტის ოჯახის წევრთა, უახლოეს ნათესავთა და რამდენიმე მეგობარი მწერლის მონათხრობთა დახმარებით, ნაწილობრივ მაინც წარმოჩინდება დიდი შემოქმედისა და განსაკუთრებული ადამიანის სილუეტი. ამიტომ კრებულში შეხვდებით მთიბავ, მწყემსავ, მონადირე, მოკრივე, დაღლილ, გამწარებულ, კეთილ, მოწყენილ, მხიარულ, მშრომელ, მოჯანყე, უტეხ კაცს, რომელიც თითქოს თავისი დიდი ლიტერატურისაგან განცალკევებით არსებობს“, — ასე გულიანად წერს შესავალ სიტყვაში გამოცემის რედაქტორი, თავადაც შესანიშნავი მწერალი და მთხრობელი **აკა მორჩილაძე** (გიორგი ახვლედიანი). ასევე აუცილებლად უნდა აღინიშნოს კრებულის შემქმნელი შემოქმედებითი ჯგუფის უკლებლივ ყველა წევრის, მათ შორის, შემდგენლის **ნანა ფრუიძის,** ტექნიკური რედაქტორის **დემიკო ლოლაძის,** დიზაინერ **კახა ბახტაძისა** და კომპიუტერული უზრუნველყოფის ოპერატორის **თამარ აბრამიშვილის** უზადო პროფესიონალიზმი. დიდებულია წიგნის ყდაზე ვაჟა-ფშაველას არაჩვეულებრივად მეტყველი საუცხოო პორტრეტი, რომლის ავტორია მხატვარი **გოჩა ზირაქიშვილი.**



წიგნი კი არა, განძია!

მეცნიერებათა ეროვნული აკადემის პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში გამართულ ვაჟა-ფშაველასადმი მიძღვნილი, მართლაც ხელიხელსაგოგმანები კრებულის საზეიმო წარდგენისას, აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა **როინ მეტრეველმა** ილაპარაკა ბატონ ვახტანგ ვეფხვაძის ნაღვაწის მთავარ მიმართულებაზე, რომელიც გამოჩენილ ქართველ მწერალთა ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი შესანიშნავი წიგნების გამოცემაა. მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მიუხედავად გაწეული დიდი მთარგმნელობითი მუშაობისა, ვაჟა-ფშაველას შემოქმედება საქართველოს ფარგლებს გარეთ შედარებით ნაკლებადაა ცნობილი:

— ვაჟა-ფშაველა უფალთან მოსაუბრე გენიოსი პოეტია, რომელიც უდიდეს როლს ასრულებს არა მხოლოდ პოეზიაში, არამედ საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც, — თქვა ბატონმა როინმა. — სამწუხაროა, რომ მსოფლიოში მას ჯერ კიდევ სათანადოდ არ იცნობენ. საერთოდაც, ქართული პოეზიის თარგმნა მეტად რთულია, მაგრამ განსაკუთრებით ჭირს ვაჟას პოეტურ სიმაღლეთა არაქართულენოვან მკითხველამდე მიტანა.

უღრმეს მადლობას მოვახსენებ ბატონ ვახტანგ ვეფხვაძეს ვაჟა-ფშაველასადმი მიძღვნილი წიგნის გამოცემისთვის და ხაზი მინდა გავუსვა იმას, თუ რაოდენ დიდ საერო საქმეს აკეთებს იგი. მიმაჩნია, რომ წიგნი აუცილებლად უნდა ითარგმნოს ინგლისურად, რათა მსოფლიომ უკეთ გაიცნოს ვაჟას შემოქმედება.

გამოცემის შემდგენელმა, ქალბატონმა **ნანა ფრუიძემ** მიმოიხილა ვაჟა-ფშაველას მთაში ცხოვრებისა და შრომის გარემოებები, ლიტერატურული შემოქმედების გარკვეული მხარეები, სინანულით აღნიშნა, რომ მისი დანატოვარი ფასდაუდებელი მემკვიდრეობა ჯერაც არასაკმარის დონეზეა შესწავლილი და, საერთოდაც, არასათანადოდაა შეფასებული.

— წიგნის ერთ-ერთი ღირსებაა ვაჟას სულიერი სამყაროს, მისი სულის წინა პლანზე წამოწევა, — თქვა აკადემიკოსმა **ელიზბარ ჯაველიძემ**. — მიუხედავად თავისი ფშაური კილოსი, მან ჩინებულად იცოდა თვალადური ქართული, თუმცა ლიტერატურული ენით რომ ეწერა, ალბათ, მის შემოქმედებას ის ფასი და ძალა არ ექნებოდა.

აკადემიკოსმა **ავთანდილ არაბულმა** თავის გამოსვლაში ყურადღება გაამახვილა მსგავს გამოცემათა შედგენის კონცეფციებზე, დამკვიდრებულ გარკვეულ სტერეოტიპთა რღვევის აუცილებლობაზე.

— უდიდესია ვაჟა-ფშაველას ენის სიმდიდრე. ამ მხრივ, იგი ყველაზე ხშირადაა მოხსენიებული ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში. ვაჟა-ფშაველა გახლავთ ქართული ქრისტიანული კულტურის არაჩვეულებრივი წარმომადგენელი. ის, რაც მის მოთხრობებშია, საუკეთესო ლიტერატურული ქართულის ჭეშმარიტი მარგალიტებია, თუმცა კი მათში თამამად შეაქვს კუთხური დიალექტის ჩანართები...

— ესაა უნიკალური წიგნი, რომელიც ვაჟა-ფშაველასადმი მიძღვნილ არც ერთ სხვა გამოცემას არ ჰგავს, რადგან მასში მისი სულიერი სამყარო სხვაგვარადაა წარმოდგენილი, — აღნიშნა აკადემიკოსმა **ვალერი ასათიანმა,** — დიდად სასიხარულოა, რომ ვაჟა კვლავ ძალუმად უბრუნდება საზოგადოებას, საგამომცემლო სივრცეს, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ერისთვის...

დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, უაღრესად საგულისხმოა მისი შეხედულება კოსმოპოლიტიზმსა და პატრიოტიზმზე...

აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა **გია ალიბეგაშვილმა** თავის გამოსვლაში ხაზი გაუსვა იმას, რომ კრებულში შესანიშნავადაა წარმოდგენილი ვაჟა-ფშაველას შემოქმედების პოეტიკა, ფილოსოფიური, ქრისტიანული, ესთეტიკური, ეროვნულ-პატრიოტული და სხვა ასპექტები, აგრეთვე აღნიშნა, რომ ვაჟა, ბატონ თამაზ ჩხენკელის თქმით, „მომავლის პოეტია“, რომლის შემოქმედება სათანადოდ ჯერაც არ არის შესწავლილი.

— ასეთი წიგნები საქვეყნოდ წარმოაჩენს საკაცობრიო გენიოსს, — ბრძანა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა **რამაზ ხუროძემ,** — პირადად მე ამ გამოცემაში უამრავი სიახლე აღმოვაჩინე, ბევრი რამ ადრე კი იყო ცნობილი, მაგრამ მათი ასე ერთად თავმოყრა ძალიან მნიშვნელოვანია. ამიტომაცაა, ასეთი



ნანა ფრუიძე

წიგნები ბევრი რომ იბეჭდებოდეს ჩვენს სხვა დიდ მწერლებზე, ეს უდიდეს როლს შეასრულებდა ერის სულიერ წვრთნაში.

– ბოლო რამდენიმე წელი ერთ-ერთი საუკეთესო იყო ჩემს ცხოვრებაში, როცა ბატონ ვახტანგ ვეფხვაძის თაოსნობით, შემოქმედებითი ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად, ვმუშაობდი დიდ ქართველ მწერალთა ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილ წიგნებზე, რისი კიდევ ერთი შედეგია აკადემიის კედლებში ახლანდელი შეხვედრა, – თქვა გამოცემის ტექნიკურმა რედაქტორმა, საქართველოს დამსახურებულმა ჟურნალისტმა **დემიკო ლოლაძემ.** – ვფიქრობ, კარგი იქნებოდა, რომ ჩვენმა შეძლებულმა ადამიანებმა მიჰბაძონ ბატონ ვახტანგს და ასეთი გამორჩეული გამოცემები ისტორიას, მომავალ თაობებს შემოუნახონ.

ზოგადად მიმოიხილა ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ზოგიერთი მხარე ჩვენმა შესანიშნავმა პოეტმა, ქალბატონმა **ქეთი შენგელიამ,** რომელმაც აღნიშნა, რომ ეს არაა ბატონ ვახტანგ ვეფხვაძის საქველმოქმედო საგამომცემლო საქმიანობის ჩვეულებრივი, რიგითი გამოცემა:

– ვაჟას შემოქმედებასთან ზიარება, მისი უბრალოდ ხსენებაც კი მუდამ დღესასწაულია! აღსანიშნავია ისიც, რომ კრებული დიდებულადაა შედგენილი, ასეთი წიგნების გამოცემა ჭეშმარიტად ეროვნული საქმეა! – თქვა მან.

– გენიოსის აღქმა სულაც არ არის ადვილი საქმე და, მით უმეტეს, ასეა ვაჟასთან მიმართებაშიც, – აღნიშნა პროფესორმა **ლადო მინაშვილმა.** – კრებულში წარმოდგენილია არა მხოლოდ ვაჟას ყოფითი გარემო, არამედ მისი შემოქმედების მასაზრდოებელი ძალებიც, რაც მეტად საინტერესოა და მკითხველს ხელს უწყობს ვაჟასთან მისვლაში.

– წიგნი კი არა, განძი მიმაქვს სახლში, განძი! – ამ სიტყვებით გამოხატა ახალი გამოცემით თავისი აღფრთოვანება ჩვენმა საყვარელმა პოეტმა **ერეკლე საღლიანმა**, რომელმაც საკუთარ ამაღლებულ განწყობას შესანიშნავი პოეტის, უდროოდ გარდაცვლილი ლაშა გახარიას დიდებული ლექსიც მიუსადაგა.

ლიტერატურული კრებულის „ვაჟა-ფშაველას“ თაობაზე თავიანთი აზრი გამოთქვეს აგრეთვე აკადემიკოსმა **მინდია უგრეხელიძემ,** რომელმაც აღნიშნა, რომ პირად ბიბლიოთეკაში ვაჟას თხზულებათა და მისდამი მიძღვნილი თითქმის ყველა გამოცემა აქვს, მაგრამ ეს ბოლო წიგნი, როგორც შინაარსობრივად, ისე ვიზუალურადაც, ალბათ, საუკეთესოა.

აკადემიკოსმა **გიორგი კვესიტაძემ** იმედი გამოთქვა, რომ ბატონ ვახტანგ ვეფხვაძის დიდად მნიშვნელოვანი და კეთილშობილური საქველმოქმედო საგამომცემლო საქმიანობა კვლავაც ასე წარმატებით გაგრძელდება;

აკადემიკოსმა **ელგუჯა ხინთიბიძემ** ილაპარაკა ბატონ ვახტანგ ვეფხვაძის ფასდაუდებელ ღვაწლზე, რის შედეგად კიდევ უფრო მეტი ბრწყინვალებით წარმოჩინდნენ ქართული სამყაროს დიდი პოეტები, ხაზი გაუსვა ვაჟა-ფშაველას პოეტური წარმომავლობისა და ფილოსოფიის კავშირებზე შოთა რუსთაველთან.

ცალკე აღსანიშნავია ის უდიდესი სითბო და გულწრფელი სიტყვების სიალალე, რომლითაც ყველა სიტყვით გამომსვლელმა მიმართა როგორც პირადად ბატონ ვახტანგ ვეფხვაძეს, ასევე შემოქმედებითი ჯგუფის წევრებს.

– ჩემთვის დიდი პატივია დღეს ამ დარბაზში ყოფნა და რჩეული საზოგადოების წინაშე სიტყვით გამოსვლა, – თქვა სამადლობელ სიტყვაში ბატონმა **ვახტანგ ვეფხვაძემ.** – დიდი მადლობა მინდა მოვახსენო აკადემიის პრეზიდენტს, ბატონ როინ მეტრეველს, აკადემიის ყველა წევრს, ყველა გამომსვლელს, დამსწრე საზოგადოებას, ჩემი საქმიანობის ასეთი დიდი დაფასებისა და მაღალი შეფასებებისთვის. ეს დღე ჩემი ცხოვრების – როგორც ახლანდელის, ისე მომავლის – გამორჩეულ დღედ დარჩება! მადლობელი ვარ წიგნის შემქმნელთა შემოქმედებითი ჯგუფის ყველა წევრისა, მოხარული ვარ, რომ ჩემი მოღვაწეობა ასე შეფასდა მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში!

ჩემი ცხოვრების აზრი ის გახლავთ, რომ ჩვენი სასიქადულო პოეტების და მწერლების წიგნები მთელ საქართველოში უსასყიდლოდ გავრცელდეს – ბიბლიოთეკებში, სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, პენიტენციურ დაწესებულებებში – რათა ახალგაზრდები დიდ ლიტერატურასთან, ამაღლებულ სულიერებასთან მიიზიდოს.

**ოთარ ტურაბელიძე**





# მერაბ კოსტავას მემორიალური სახლ-მუზეუმი მთლიანად განახლდა!

## თბილისის მთავრობის სხდომა



### ამონარიდები თბილისის მერის კახა კალაძის გამოსვლიდან:

**რეაბილიტირდა მერაბ კოსტავას მემორიალური სახლ-მუზეუმი. დღეისთვის მუზეუმში დაცულია მერაბ კოსტავას პირადი ნივთები, მემორიალური ავეჯი, ბიბლიოთეკა, ხელნაწერები და ეროვნული მოძრაობის მონაწილეებთან დაკავშირებული უნიკალური დოკუმენტური მასალა: მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ფოტოარქივი, წერილები, არალეგალური გამოცემები და სხვა იშვიათი არტეფაქტები.**



**სტუმრად ეროვნული გმირის სახლ-მუზეუმში**

**საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი კობახიძემ, პარლამენტის თავმჯდომარესთან, შალვა პაპუაშვილთან, თბილისის მერთან კახა კალაძესთან და კულტურის მინისტრთან თინათინ რუხაძესთან ერთად, მერაბ კოსტავას ახლად რეაბილიტირებული მემორიალური სახლ-მუზეუმი დაათვალიერა.**

რეაბილიტაციის შედეგად, მუზეუმის ფართობი საგრძნობლად გაიზარდა, ხოლო 2025 წლის მაისიდან დაიწყო ინტენსიური მუშაობა ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ექსპოზიციის მოსაწყობად. მუზეუმი აღიჭურვა უახლესი ტექნიკითა და ტექნოლოგიებით, რაც საშუალებას იძლევა, უკეთ წარმოჩინდეს მერაბ კოსტავას ცხოვრება, მოღვაწეობა და მისი როლი საქართველოს უახლეს ისტორიაში. ასევე, შეიქმნა თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო სივრცე და ფონდსაცავი, რაც მუზეუმში დაცული 20 000-ზე მეტი ექსპონატის სათანადო შენახვას უზრუნველყოფს. მინდა, ყველას მადლობა გადავუხადო, ვინც აღნიშნული სამუშაოების განხორციელებაში იყო ჩართული.

* * *

**თბილისის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურმა მდინარე მტკვარზე მდებარე ორთაჭალჰესის ხიდს სრული რეაბილიტაცია ჩაუტარა. სამუშაოების ფარგლებში, ხიდზე მასშტაბური სარეკონსტრუქციო სამუშაოები ჩატარდა.**

პირველ ეტაპზე, საინჟინრო-საკვლევი სამუშაოები განხორციელდა, რის საფუძველზეც დაიგეგმა სარეაბილიტაციო პროცესი. პროექტის ფარგლებში აღდგა და განახლდა ხიდის კონსტრუქციული ნაწილი და დაზიანებული ელემენტები. ასევე, სანიაღვრე სისტემა შეიცვალა და დაემატა ცხაურები, ჩატარდა ჰიდროიზოლაციის სამუშაოები. გარდა ამისა, საჰაერო ელექტროსადენები მიწისქვეშა კაბელარხებში განთავსდა. გზის სავალი ნაწილი სრულად განახლდა – დაიგო ასფალტის საფარი და დაიხაზა. ხიდზე არსებული ტროტუარები სრულად რეაბილიტირდა და გარე განათების თანამედროვე, ენერგოეფექტური LED ლამპიონები მოეწყო. აღნიშნულ ხიდზე გადაადგილება სრულიად უსაფრთხოა, საავტომობილო მოძრაობა კი ორმხრივად აღდგენილია.

* * *

**თბილისის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, ნაძალადევის რაიონში, სანზონის დასახლებაში, N26 და N27 კორპუსების მიმდებარედ არსებული სკვერის რეაბილიტაცია დაასრულა. შესაბამისი სამუშაოები 12 000 კვ.მ ფართობზე განხორციელდა.**

ტერიტორიაზე მოეწყო განათების სისტემა, საფეხმავლო ბილიკები, დასასვენებელი პავილიონები, სპორტული არეალები, ასევე გამოყოფილია ატრაქციონები პატარებისთვის და საბავშვო მოედნები, სასმელი წყლის შადრევანი და განთავსდა საპარკო ავეჯი. ყველანაირად განახლებული და მოწესრიგებულია აღნიშნული სივრცე, რაც ძალიან კარგია. ახლა მთავარია, მოვუაროთ აღნიშნულ ტერიტორიას. ბევრჯერ გვითქვამს და კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ყველა რაიონში, უბნების დონეზე უნდა ვაწარმოოთ ამ ტიპის სამუშაოები, რათა იქ მცხოვრებ პატარებსა თუ დიდებს ნორმალურ გარემოში დასვენების, გართობისა და ვარჯიშის საშუალება ჰქონდეთ.

ნაძალადევის რაიონს კიდევ ერთი რეკრეაციული სივრცე შეემატა. კერძოდ, ანაპის 414-ე დივიზიის ქუჩაზე („უნივერსამის“ მიმდებარე ტერიტორია) მდებარე სკვერს კაპიტალური რეაბილიტაცია ჩაუტარდა. პროექტის ფარგლებში, 4 000 კვ.მ ფართობზე შესრულდა გამწვანებისა და ინფრასტრუქტურული სამუშაოები, დამონტაჟდა შადრევანი, განათების ბოძები, ტრენაჟორები, საბავშვო გასართობი ატრაქციონის კომპლექტი და დასასვენებელი პავილიონი. აღნიშნული სივრცე ყველანაირად მოწესრიგდა. მადლობა ყველა იმ კომპანიას, ვინც აღნიშნული სამუშაოების წარმოებაში მონაწილეობდა. ამ ტიპის პროექტების განხორციელებას მომავალშიც გავაგრძელებთ.

* * *

**დიდ ლილოში რეკრეაციული სივრცის მოწყობა მიმდინარეობს. შესაბამისი სამუშაოები ნიავის ქუჩა N8-ში, დაახლოებით, 2 400 კვ.მ ფართობზე ხორციელდება.**

პროექტის ფარგლებში, საფეხმავლო ბილიკები, მოსასვენებელი და სავარჯიშო სივრცეები ეწყობა, ასევე, მონტაჟდება გარე განათება და სარწყავი სისტემა. რეაბილიტაციის დასრულების შემდეგ ტერიტორია სრულად გამწვანდება. სკვერში, ასევე, ეწყობა გრუნტის დამჭერი კედლები და დამცავი ჯებირი, რაც მნიშვნელოვანია, რათა აღნიშნული სივრცე უსაფრთხო იყოს.

**„საქართველომ 15 ოქტომბერს სეულში გამართულ ღვინის დეგუსტაციაზე მეღვინეობის 8-ათასწლოვანი ეროვნული ტრადიცია წარმოადგინა“**, – ნათქვამია კორეის რესპუბლიკის (სამხრეთ კორეის) ინგლისურენოვანი გაზეთის **The Korea Herald-ის** მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში სათაურით **„სეულში ქართული ღვინის დეგუსტაცია გაიმართა“** (ავტორი – **სანჯაი კუმარი**). პუბლიკაციაში ასახულია სამხრეთ კორეაში საქართველოს საელჩოს საქმიანობის ერთ-ერთი ასპექტი – ქართული კულტურისა და ქართველი ხალხის ეროვნული ტრადიციების წარმოჩენა.

**გთავაზობთ სტატიას მცირე შემოკლებით:**

The Korea Herald



Georgian Ambassador to Korea Tarash Papaskua (left) and Herald Media Group CEO Choi Jin-young deliver remarks at the 2025 Georgia Wine Festival at the Ambassador Pullman Seoul on Monday. (Sanjay Kumar/The Korea Herald)

# ქართული ღვინო „დილის ნიავის“ ქვეყანაში

**როგორც საქართველოს ელჩმა კორეის რესპუბლიკაში თარაშ პაპასქუამ განაცხადა ჩატარებულ ღონისძიებაზე, ქართული ღვინის დაყენების უძველესი კულტურის წარმოჩენა და მისი გაცნობა კორეელებისთვის მნიშვნელოვნად ამდიდრებს და აფართოებს ქართულ-კორეულ ურთიერთობებს.**

**„სულ უფრო მეტი კორეელი ეცნობა საქართველოს, რომელიც მათთვის სასიამოვნო აღმოჩენაა. ზუსტად ასევეა ქართველებისთვისაც კორეული კულტურისა და ტრადიციების გაცნობა და მისი მაგიის შეგრძნება“**, – განაცხადა ელჩმა, რომელსაც მხედველობაში ჰქონდა პოპ-ჯგუფ Izty-ის მიერ თბილისში გადაღებული ვიდეოკლიპი სახელწოდებით Girls Will Be Girls.

სეულში მოქმედი საქართველოს საელჩოს მონაცემებით, კორეელი ტურისტების რაოდენობამ, რომლებმაც 2024 წელს საქართველო დაათვალიერეს, წინა წლებთან შედარებით 80%-ით გაიზარდა და 27 ათასს მიაღწია. ეს იმას მოწმობს, რომ **„დილის ნიავის ქვეყანაში“** მატულობს ინტერესი საქართველოს ისტორიის, ქვეყნის ბუნების სილამაზისა და ქართული სამზარეულოს მიმართ.

ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდა Herald Media Group-ის გენერალური დირექტორი ჩოი ჯინენი, რომელმაც გაიხსენა 1992 წელს საქართველოსა და კორეის რესპუბლიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებასთან დაკავშირებული მომენტები, ასევე პოზიტიურად შეაფასა 2024 წელს გამართული ორმხრივი სავაჭრო მოლაპარაკების წარმატებით დასრულება.

**„საქართველოს უკვე აქვს დადებული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება მსოფლიოს 42 სახელმწიფოსთან. როგორც კი ხელს მოვაწერთ მოლაპარაკების დროს შემუშავებულ სავაჭრო ხელშეკრულებას, რომლის მიხედვით, საქართველოსა და კორეას შორის პირდაპირი ავიარეისებიც განხორციელდება, დარწმუნებული ვარ, რომ ეს პოზიტიურ გავლენას მოახდენს ჩვენი ქვეყნების ეკონომიკაზე – განვითარდება ტურიზმი, ქართველები და კორეელები ერთმანეთს კიდევ უფრო დაუახლოვდებიან“**, – ოპტიმიზმი გამოხატა **ჯინენმა.**

**„ღვინო კაცობრიობის ერთ-ერთ ყველაზე ძველ სასმელს წარმოადგენს, მისი ისტორია კი საქართველოში დაიწყო. მართალია, კორეელი მომხმარებლისათვის უფრო მეტად ფრანგული, იტალიური და ჩილიური ღვინოებია ცნობილი, მაგრამ მჯერა, რომ კორეელები ქართულ ღვინოსაც შეიყვარებენ“**, – დასძინა Herald Media Group-ის გენერალურმა დირექტორმა.

ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო ღვინის 24 ქართული ბრენდის მიერ წარმოებული 120 დასახელების სასმელი, რომელთაგან ბევრის იმპორტი სამხრეთ კორეაში ადრე არ ხდებოდა.

საქართველო მსოფლიოში უძველესი მეღვინეობის რეგიონია, რომელიც 2017 წელს „ღვინის აკვნად“ იქნა აღიარებული, ხოლო ქვევრებში ღვინის დაყენების ქართული მეთოდი იუნესკოს სიაში იქნა შეტანილი 2013 წელს.

**ქართული ღვინის დეგუსტაციაში 200 სტუმარზე მეტი მონაწილეობდა, მათ შორის პარლამენტის წევრებიც – „კორეა-საქართველოს მეგობრობის საზოგადოების“ პრეზიდენტი ვი სონგონი, აგრეთვე ლი ვონთჰეკი და ლი ოგენი დემოკრატიული პარტიიდან, დიპლომატები, დარგობრივი ექსპერტები და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლები.**

# რატომ არ მონაწილეობდა პუტინი ისტორიულ სამიტში?

**„ეგვიპტეში ღაზას საკითხზე გამართული საერთაშორისო შეხვედრა, რომელშიც აშშ-სა და ევროპის ქვეყნების ლიდერები მონაწილეობდნენ, რუსეთის პრეზიდენტის გარეშე ჩატარდა“**, – წერს გერმანული გაზეთი **„ბერლინერ ცაიტუნგი“ (Berliner Zeitung)** სტატიაში სათაურით **„ისტორიული სამიტი ღაზას საკითხზე ეგვიპტეში: რატომ არ მონაწილეობდა ვლადიმერ პუტინი შეხვედრაში?“** (ავტორი – **ნიკოლას ბუტილინი**). **„საქმე იმაში კი არ არის, რომ თითქოსდა ახლო აღმოსავლელ არაბებს რუსეთის პრეზიდენტის ხილვა არ სურდათ წითელი ზღვის ნაპირზე, არამედ იმაში, რომ ვლადიმერ პუტინის არყოფნის პირველმიზეზი მოსკოვ-ვაშინგტონის პოლიტიკურ ურთიერთობასთან არის დაკავშირებული“**, – ნათქვამია მასალაში.

**გთავაზობთ პუბლიკაციას მცირე შემოკლებით:**

Berliner Zeitung




**რუსეთს ახლო აღმოსავლეთში გარკვეული გავლენა აქვს, თუმცა, ამის მიუხედავად, შარმ-ელ-შეიხში გამართულ სამიტში მოსკოვი არ მონაწილეობდა.**

მართლაცდა, უცნაურია: იმ დროს, როცა დასავლელი და არაბული ქვეყნების ლიდერები, მინისტრები და დიპლომატები ეგვიპტის სამოთხისებურ კურორტზე (სხვათა შორის, იქ ტურისტების უმრავლესობა რუსები არიან) ღაზას სექტორში ზავისა და ჰუმანიტარული დახმარების მიწოდების შესახებ მსჯელობდნენ, კრემლის მეთაური გვერდზე დარჩა. რატომ არ მონაწილეობდა ვლადიმერ პუტინი ამ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ სამიტში?

## დონალდ ტრამპს არ სურდაო, ამბობენ...

**როგორც რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა განაცხადა, რუსეთი არ ცდილობდა სხვებისთვის თავს მოეხვია აზრი, რომ სამიტზე მოსკოვი აუცილებლად უნდა ყოფილიყო მიწვეული.**

**„ჩვენ მზად ვართ მონაწილეობა მივიღოთ ნებისმიერ ფორმატში, თუ ამას სხვა მონაწილეებიც მოისურვებენ“**, – თქვა რუსეთის მთავარმა დიპლომატმა მოსკოვში არაბ ჟურნალისტებთან გამართულ პრესკონფერენციაზე ერთ-ერთი კითხვის პასუხად.

თუმცა სერგეი ლავროვის დიპლომატიურად ჩამოყალიბებული პასუხის უკან რაღაც უფრო მნიშვნელოვანი იმალება. როგორც რუსი მინისტრის ნათქვამიდან ჩანს, სამიტზე კრემლი, უბრალოდ, არავის არ მიუწვევია: **„მიწვევებს ავრცელებდა ეგვიპტის მთავრობა, რომელიც მოქმედებდა სხვა ინიციატორ ქვეყნებთან კოორდინირებულად, უპირველეს ყოვლისა კი აშშ-სთან“**, – აღნიშნა **სერგეი ლავროვმა.**

რას ნიშნავს რუსი მინისტრის ხაზგასმა აშშ-ზე – ვაშინგტონის კრიტიკას და დონალდ ტრამპისადმი უსიტყვო საყვედურის გამოხატვას? აშკარაა, თეთრ სახლს და პირადად დონალდ ტრამპს არ სურდათ, რომ რუსეთის ყოფნას რაიმე გავლენა მოეხდინა ღაზასთან დაკავშირებულ სამიტზე.

## რუსეთი და პალესტინა, ისრაელთან ერთად

**საერთოდ, ობიექტურად რომ ვთქვათ, ახლო აღმოსავლეთში მოსკოვის როლისა და გავლენის შეუფასებლობა სწორი არ იქნებოდა. რუსეთს ათწლეულების განმავლობაში აქვს მჭიდრო ურთიერთობა არაბულ სახელმწიფოებთან. პალესტინის პრეზიდენტი მაჰმუდ აბასი ბოლო წლებში არაერთხელ იყო მოსკოვში. ღაზას სექტორში ომის დაწყების შემდეგ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არაერთხელ გამოუხატავს თავისი სოლიდარობა პალესტინასთან.**

კრემლს დიპლომატიური ურთიერთობა აქვს ისრაელთან, მაგრამ იმავდროულად კონტაქტებს არ წყვეტს „ჰამასთანაც“. რუსეთმა პალესტინის სახელმწიფო დასავლეთზე ადრე აღიარა. მიუხედავად გარკვეული უთანხმოებისა ზოგიერთ გეოპოლიტიკურ საკითხში, ისრაელის პრემიერ-მინისტრს ბენიამინ ნეთანიაჰუს და რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმერ პუტინს შორის, როგორც ამბობენ, პირადული ახლო და მჭიდრო დამოკიდებულება არსებობს. გარდა ამისა, კრემლმა თუ მთავარი არა, მნიშვნელოვანი როლი მაინც შეასრულა „ისლამური სახელმწიფოს“ განადგურებაში, რომელიც ისრაელსაც ემუქრებოდა.

## და მაინც, რუსეთი სახელგატეხილია...

**ალბათ, ამ დამსახურებების საფუძველზე შეიძლებოდა რუსეთი სამიტის მონაწილე გამხდარიყო, მაგრამ კრემლმა, მიმდინარე გეოპოლიტიკურ ვითარებაში, უპირველესად კი უკრაინის ომის გამო, დასავლეთის თვალში სახელი გაიტეხა – ნატო რუსეთს და რუსებს არ ენდობა, ცდილობს მოსკოვის იზოლირებას საერთაშორისო არენაზე.**



ამიტომაც ამერიკელები და ევროპელები კრემლს განიხილავენ როგორც დესტაბილიზაციისა და გაურკვევლობების ფაქტორს და არა როგორც პარტნიორს კონფლიქტების სამშვიდობო დარეგულირებაში.

**მოამზადა**
**სიმონ კილაძე**

## რუსეთის დანაკარგი 1.1 მილიონ ჯარისკაცს შეადგენს!..

**ნატოს ხელმძღვანელობის წარმომადგენელმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ უკრაინაში შეჭრის შემდეგ რუსეთმა ბრძოლის ველზე ჯამურად 1.1 მილიონი ჯარისკაცი დაკარგა, რაც როგორც დაღუპულთა, ასევე დაშავებულთა რაოდენობას მოიცავს.**

ნატოს წარმომადგენელმა ასევე განაცხადა, რომ სექტემბერში რუსეთის დანაკარგების მაჩვენებელი წინა თვესთან შედარებით გაიზარდა, მაგრამ დაბალია ზაფხულის მონაცემებთან შედარებით. მისივე თქმით, სექტემბერში რუსეთის საშუალო დღიური დანაკარგების მაჩვენებელი 950 ჯარისკაცი იყო.

**„რუსეთი კვლავ განიცდის უკიდურესად მაღალ დანაკარგებს. 2025 წელს ჩვენ ვნახეთ საშუალოდ 1 200 ყოველდღიური დანაკარგი და ახლა ჯამურად უკვე გადავაჭარბეთ 1.1 მილიონ დანაკარგს, რომელთაგან 250 000-ზე მეტი ბრძოლის ველზე დაიღუპა“**, – განაცხადა ალიანსის წარმომადგენელმა.

ამასთან, წარმომადგენლის თქმით, ნატო აღიარებს უკრაინის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიის მნიშვნელოვან დანაკარგებს, თუმცა ასევე აღნიშნავს რუსეთის წინსვლის შენელებას.

**„რუსეთის სახმელეთო ძალებმა სავარაუდოდ სექტემბერში უკრაინის ტერიტორიის დაახლოებით 250 კვადრატული კილომეტრი დაიკავეს, რაც მნიშვნელოვნად ნაკლებია აგვისტოში მათ მიერ დაკავებული დაახლოებით 465 კვადრატულ კილომეტრთან შედარებით. ფართობის ეს შემცირება, სავარაუდოდ, ფრონტის ხაზზე რამდენიმე რუსული დივიზიის მნიშვნელოვანი გადაადგილებით არის განპირობებული“...**

## სიტყვა – მიზანში



**ზურაბ მამულაშვილი**

### ერს ისტორია თუ არ ექნება...

აღარ ხერხდება დროის შეგრძნება,
ვინ საით მიდის, ვეღარ გავიგე,
ვინც კი დაკარგა თურმე შეგნება,
წავა და ხვალ-ზეგ ლარად აიღებს.

ქალი – ქალთან და კაცი – კაცთანო,
ამ ქვეყანაზე რას არ გაიგებ,
ოღონდ ეგ არა და ჩემ სიცოცხლეს
დაუფიქრებლად დღესვე გავიღებ!...
სად გაგონილა უდედ-უმამოდ,
რომ გაზრდილიყოს ძე და ასული,
ასეთი ერი დასაგმობია,
გარყვნილია და წრეგადასული!...
ჩვენი დროების უღმერთოები,
კვლავ დახოხავენ, როგორც კუები,
მათ გამოჩენას ან გვერდით დგომას
მე უკვე ვეღარ შევეგუები.
არც ტყვია მაკრთობს და არც წარსული
აღარ ვკანკალებ ვინმეს მუქარით,
თუ ცოტა ხანში ჩემი მამული,
მართლა ვერ ვნახე თავისუფალი.
ოქროში სცვლიან ჩვენს დიად წარსულს,
აღარ ხერხდება დროის შეგრძნება,
რა თავში ვიხლით დიდებას ან ფულს,
ერს ისტორია თუ არ ექნება!..

### ვედრება

**გურამიშვილისებურად**

დაგვანაწევრეს, დაგვჩეხეს,
კედლები შეგვირყიესო,
გულში ლახვარი ჩაგვცეს და
ჯილაგი შეგვირცხვინესო.

კაცობა, სინდის-ნამუსი
სრულიად წაგვიბილწესო,
ქართველი ქალის მანდილი
უღმერთოდ გადაფხრიწესო....

ღვთისმშობლის ადგილ-მამული
გასწიეს, გამოსწიესო,
რაც დაგვრჩა მამა-პაპათგან
გააჩუქ-გაგვიყიდესო...

გაგვამათხოვრეს, კისერში
მარწუხი წაგვიჭირესო,
დაგლეჯილ ბაირაღივით
ჰაერში გამოგვკიდესო...

სანამ ჯერ კიდევ ვარსებობთ,
სულ მთლად არ დაგვაქციესო,
იქნება, დროზე გვიშველო,
ყოვლისშემძლეო იესო.

### ჩემი დაისი

მივდივარ, ვტოვებ სულს, ემოციას,
ვეღარ გავივლი გასავლელ ხიდებს,
უფალს კი, ჩემთვის რაც მოუცია,
სამაგალითოდ დარჩება მითებს.
წარსულ წლებს უკვე ვერ დავიბრუნებთ,
ჩემი ჭაღარით, ჩემი ნაოჭით,
კარიც ნახევრად გამოვიხურე,
გზაგასაყარსაც უკვე გამოვცდი.
თუ რამ დააკლდა ჩემ წუთისოფელს,
მსურს სხვისი დარდით შევიმსუბუქო,
ყველა დავრდომილს შვება ვუბოძო,
სევდიანებს რომ აღარ ვუყურო,
მივდივარ, მიმაქვს, ამ ქვეყნის დარდი,
ალბათ ერთ ღამეს კიდევ გავათევ,
მაპატიეთ, რომ ამ ხნის მანძილზე
ვერ ვისულხანე, ვერ ვიდავითე.
ვერ შევედრები, ვერც ერთ მითოლოგს,
არც ისტორიას დავესესხები,
ერთი რამ დამრჩა, რომ დაგიტოვოთ,
ღვთით ბოძებული ჩემი ლექსები...

2025 წ.



## მთელი ცხოვრება გაგყოლოდეთ უწმინდესის ლოცვა!

**„საქართველოს საპატრიარქო რეზიდენციაში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორეს საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ბატონი ირაკლი კობახიძე გუშინ შვილებთან გიორგი და ნიკოლოზ კობახიძეებთან ერთად ეწვია. მისმა უწმინდესობამ დალოცა ისინი და მშვიდობა, კეთილდღეობა უსურვა“,** – ნათქვამია საქართველოს საპატრიარქოს ინფორმაციაში.

## ადამიანი, რომელმაც სიტყვა საქმედ აქცია!..

**საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და სამტრედიის მერიის ხელშეწყობით, დიდ ჯიხაიშში, ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმში, ტრადიციული სახალხო დღესასწაული – „ნიკოობა – 2025“ აღინიშნა.**



ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმის ახალგაზრდა მეგზურებმა, სკოლის მოსწავლეებმა, სტუმრებს უმასპინძლეს და გააცნეს ნიკო ნიკოლაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გზა; სამტრედიის სამხატვრო სკოლა-გალერეამ პროფესიონალ მხატვართა ნამუშევრები წარმოადგინა, ხოლო სამხატვრო სკოლის მოსწავლეებმა მუზეუმის ეზოში სწრაფი ესკიზები შექმნეს; სამტრედიის კომპლექსური სპორტული სკოლის ორგანიზებით გაიმართა ამხანაგური მატჩი ჭადრაკში. გამარჯვებულებს გადაეცათ მუზეუმის სახელობითი სიგელები.

აქტივობების ფარგლებში მოეწყო ნიკო ნიკოლაძის პუბლიცისტური წერილების კრებულის პრეზენტაციაც. ასევე, გაიმართა მოსწავლეთა კონფერენცია თემაზე: „ნიკო ნიკოლაძე – ადამიანი, რომელმაც სიტყვა საქმედ აქცია“. დღის ბოლოს კი, ნიკო ნიკოლაძის ხსოვნისა და მისი ღვაწლისადმი მიძღვნილი კონცერტი გაიმართა.

## საქართველოს ესტუმრება იტალიელი მწერალი დაჩა მარაინი

**22-25 ოქტომბერს, მწერალთა სახლის მოწვევით და საქართველოში იტალიის რესპუბლიკის საელჩოს მხარდაჭერით, საქართველოს ესტუმრება საყოველთაოდ აღიარებული იტალიელი პროზაიკოსი, პოეტი, დრამატურგი, რეჟისორი, სცენარისტი, პუბლიცისტი, კინოდოკუმენტალისტი, ჟურნალისტი და მთარგმნელი – დაჩა მარაინი.**




მწერალთა სახლში დაჩა მარაინი მთარგმნელ ნუნუ გელაძესთან ერთად წარადგენს წიგნს „წერის სიყვარული“, ისაუბრებს კითხვის, წერის, თარგმნის ხელოვნებაზე, საკუთარ და წიგნში წარმოდგენილი ავტორების გამოცდილებაზე, პიერ პაოლო პაზოლინიზე, რომელსაც მიუძღვნა წიგნი „ძვირფასო პიერ პაოლო“ და 80 წლის შემდეგ დაწერილ წიგნზე „ცხოვრება ჩემი“, რომელშიც მოგვითხრობს 6-8 წლის ასაკში ოჯახთან ერთად იაპონიის საკონცენტრაციო ბანაკში გატარებულ ორ წელზე. მწერალთა სახლში დაგეგმილი წარდგენის გარდა, დაჩა მარაინი სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტებს შეხვდება.

**ქართულ ენაზე გამოცემულია მისი რომანები: „გოგონა და მესიზმრე კაცი“ (მთარგმნ. ნუნუ გელაძე), „ხმები“ (მთარგმნ. ნუნუ გელაძე), „ჩემი ქმარი“ (მთარგმნ. მაია ტურაზელიძე)“,** – წერია მწერალთა სახლის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

## „ამბავი უცნობი გმირისა“

**ეროვნული ბიბლიოთეკის მხარდაჭერით, მიმდინარე წლის 15 ოქტომბერს, ბიბლიოთეკის რეზო გაბრიაძის კინოდარბაზში, გაიმართა ჩვენება დოკუმენტური ფილმისა „ამბავი უცნობი გმირისა“, რომელსაც სამსახურის დირექტორი, გენერალ-მაიორი კობა კობალაძე, ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორთან, კონსტანტინე გამსახურდიასთან, ვეტერანებთან და მოწვეულ სტუმრებთან ერთად დაესწრო.**




ფილმი ეძღვნება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის, აფხაზეთში ბრძოლის ველზე დაცემულ **ზურაბ გურჩიანს** და იგი ევროპული სკოლის საერთაშორისო ბაკალავრიატის სადიპლომო პროგრამის XI კლასის მოსწავლეებმა – **მარიამ გაგუამ, ანასტასია უგლავამ** და **ნიკოლოზ ჯანაშიამ** გადაიღეს. ფილმის რეჟისორი, ევროპული სკოლის სატელევიზიო სკოლის დირექტორი **ირაკლი ჯაოშვილი,** ხოლო იდეის ავტორი, ამავე სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, **ია ღადუა** გახლავან.

**ზურაბ გურჩიანი, 1971 წლის 23 მაისს მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ეცერში დაიბადა. აფხაზეთში საბრძოლო მოქმედებების დაწყების შემდეგ, მოხალისედ წავიდა ომში. ზურაბ გურჩიანი, 1993 წლის 5 ივლისს კამანისთვის ბრძოლაში გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე. 2021 წლის 1 აპრილს მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ეცერის საჯარო სკოლას, სამშობლოს დაცვის საქმეში თვალსაჩინო წვლილის შეტანისათვის, ზურაბ გურჩიანის სახელი მიენიჭა.**



# სამშობლოდან — სამშობლოში

**UFC-ის მსუბუქი დივიზიონის ჩემპიონი ილია თოფურია საქართველოშია. ქართველმა მებრძოლმა სოციალურ ქსელში ვიდეო გამოაქვეყნა, რითაც აღნიშნული ინფორმაცია ოფიციალურად დადასტურდა.**

11 ოქტომბერს ილია თოფურია მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩსაც დაესწრო, სადაც ერთმანეთს ესპანეთისა და საქართველოს ნაკრებები დაუპირისპირდნენ (2:0). საქართველოში გამომგზავრებამდე ქართველმა მებრძოლმა სოციალურ ქსელში შემდეგი რამ დაწერა.

**„არსებობს მომენტები, როდესაც სული ორად იყოფა, მაგრამ გული მადლიერებით ივსება. ვამაყობ ჩემი ფესვებით, იმ გზებით, რომლებმაც აქამდე მომიყვანა და იმ ადამიანებით, რომლებიც თითოეულ ნაბიჯზე მაძლიერებენ. ნამდვილი გამარჯვება ის არის — არასდროს დაივიწყო საიდან მოდიხარ და ღირსებითა და გულით განაგრძო გზა“**, — ეს სიტყვები მას შემდეგ დაწერა **ილიამ,** რაც ქართველმა გულშემატკივრებმა ესპანეთის ნაკრების ბაზაზე მისვლის გამო გააკრიტიკეს.

შეგახსენებთ, რომ ილია თოფურიამ ბოლო ბრძოლაში **ჩარლზ ოლივეირა** დაამარცხა და ორი დივიზიონის საჩემპიონო ქამარს დაეუფლა.

დატვირთულია ჩემპიონის საშინაო პროგრამაც. კერძოდ, მშობლიურ რუსთავში მას ქალაქის მერმა **ნინო ლაცაბიძემ** უმასპინძლა, თბილისში კი დედაქალაქის უკვე 3-გზის მერს **კახი კალაძეს, გიორგი ქინქლაძესა** და ლეგენდარულ იტალიელ სტუმარს **ალესანდრო ნესტას** შეხვდა.

# სასტვენის გვიხდება

**ოქტომბერსა და ნოემბერში ქართველი მსაჯები ევროპაში გაემგზავრებიან და ტესტ-მატჩებისა თუ სხვა ტურნირების შეხვედრებს განსჯიან.**




საერთაშორისო არენაზე მათ პირველად 18 ოქტომბერს ვიხილავთ. რაგბი ევროპის სუპერთასის მეორე ტურში ნიდერლანდური „დელტა“ ესპანურ „იბერიანსს“ ამსტერდამში მასპინძლობს. ამ თამაშში მოედნის მსაჯი **საბა მახარაძე** იქნება, ხოლო კიდეებიდან მას **იოსებ ჯაფარიძე** და **შოთი ცაგარეიშვილი** დაეხმარებიან.

ამავე ტურნირის მესამე ტურში, 24 ოქტომბერს „იბერიანსი“ რუმინულ „ვულვზს“ მურსიაში დაუხვდება. აქ მოედნის მსაჯი **საბა აბულაშვილია,** რომელსაც კიდეებიდან **საბა მახარაძე** და **მარიამ გოგუაძე** დაეხმარებიან.

1 ნოემბერს რაგბი ევროპის ალაფაზე შვედეთისა და ლიეტუვას შეხვედრას **პაპუნა ჯიქაბერიძე** განსჯის, მისი პირველი ასისტენტი კი **შოთი ცაგარეიშვილი** იქნება.

ნოემბერის ტესტებზე ოთხ თამაშში იქნება წარმოდგენილი **ნიკა ამაშუკელი.** 1 ნოემბერს ინგლისი ავსტრალიას „თვიქენჰემზე“ მიიღებს და მოედნის მსაჯი ამაშუკელი იქნება, რომლისთვისაც ეს შეხვედრა 32-ე სანაკრებო მატჩი იქნება რეფერის რანგში. მომდევნო სამ შეხვედრაში ნიკა მოედნის მსაჯის პირველი ასისტენტი იქნება: 8 ნოემბერს საფრანგეთი – სამხრეთ აფრიკა; 15 ნოემბერს საფრანგეთი – ფიჯი; 23 ნოემბერს ინგლისი – არგენტინა.

სუპერთასის შემდეგ ტესტ-მატჩებში გადაინაცვლებს **საბა აბულაშვილი** და 15 ნოემბერს რუმინეთისა და აშშ-ს მატჩში, ხოლო 22 ნოემბერს პორტუგალია-კანადის შეხვედრაში მოედნის მსაჯის პირველი ასისტენტი იქნება.

# ეს უფსკრულია!



**„ევროპის ჩემპიონატი ვერ დავივიწყეთ და კომფორტის ზონიდან ვერ გამოვდივართ. ვფიქრობ, ბოლო თვეების განმავლობაში დაგვავიწყდა საბრძოლო სულისკვეთება, პირველიდან ბოლო წუთამდე თამაში, ერთიანობა, განცდა, რომ ეს შენი სიცოცხლის ბოლო მატჩია. ნაკრებმა გადატვირთვა სწრაფად უნდა მოახერხოს და დაუბრუნდეს იმ მდგომარეობას, როდესაც ვიცოდით, რომ შედეგის მისაღწევად ძალზე ბევრი ბრძოლა და შრომაა საჭირო“ — ეს ვილი სანიოლის სიტყვებია, ანუ მწარე სიმართლე, რომელსაც თვალი ყველამ უნდა გაუსწოროს და ქვეტექსტები გაშიფროს.**

თუმცა, ყველაფერი ხომ ხელისგულზე დევს — სხვაგვარად ამას ვარსკვლავური ავადმყოფობა ჰქვია, მაგრამ კითხვა ჩვენი ეროვნული ნაკრების ფრანგ თავკაცთანაც გვაქვს, რომელსაც მადლიერებას უკვე მიღწეულისთვის ოდნავადაც არ ვუკარგავთ: თუ საგანგაშო სიმპტომებს ასე კარგად ამჩნევთ, ვინ ან რა გაბრკოლებთ მის აღმოსაფხვრელად?

დიახ, საკმაოდ დამძიმებულ ვეტერანებზე — **კაშიასა** და **დვალზე** უარის თქმა ოდნავადაც ვერ ჩაითვლება იმ ზომად, გადაბრუნებული ურემი რომ წამოაყენოს. ეს ისე, ზოგადად, ახლა კი კონკრეტულად მეტოქესაც შევეხოთ, რომელმაც ერთ წელიწადში სამჯერ(!) ჩაგვაშხამა საღამო და 10(!) ბურთი გაგვიტანა, ერთი მაგდენი შეცდომამ კი გვაპატია.

**მეტინი, ჩოლაკი, შუქური, ემრე** — ეს თურქული ფეხბურთის ვარსკვლავთა ის კვარტეტი გახლავთ, უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე რომ ბრწყინავდა, მაგრამ ბევრი თანხმდება, რომ ჩვენ მეზობელთა უძლიერესი თაობა დღევანდელია, სადაც **ჩალხანოღლუ** ჩინებულად უძღვება ოსმალური ფრთების – **გულერისა** და **ილდიზის** წამოწყებულ რეაქტიულ იერიშებს.

ეს ოდნავადაც არ ნიშნავს, რომ **ვინჩენცო მონტელას** გაწვრთნილ გუნდს დაცვის სახით სუსტი წერტილი არა აქვს, რაც, სხვათა შორის, თვალნათლივ დასტურდება როგორც მუნდიალ – 2026-ის შესარჩევი ტურნირის განვლილ 4 შეხვედრაში უკვე გაშვებული 10 გოლით, ისე უშუალოდ ჯვაროსნებთან ქოჯაელის პროვინციის ქალაქ იზმითის სტადიონზე გამართული უთანასწორო ბრძოლის ცალკეული ეპიზოდებით (მაგალითად, 0:0-ზე **დავითაშვილის** გარღვევითა და მასპინძელთა 2 მცველთან პირისპირ დარჩენილი 4 ჩვენიანის უნიათობით, ან თუნდაც შედეგიანი კომბინაციით **კაკაბაძე – კიტეიშვილი – ქოჩორაშვილის** შესრულებით). სამწუხაროდ, კიდევ უფრო უარესად გვაქვს უკანა ხაზზე საქმე ჩვენ, თანაც იმ დონეზე, რომ თითქმის ორმეტრიან დუბლის ავტორ **დემირალს** კუთხურების დროს მეურვეობას წინასწარ განწირულად უწევდა მასზე გაცილებით ტანმორჩილი **კიტეიშვილი.**

მოკლედ, სამარცხვინო 1:4 პრეზიდენტების – **ყაველაშვილისა** და **ერდოღანის** თანდასწრებით და მშვიდობით, ამერიკა!

**საქართველო:** მამარდაშვილი, კაკაბაძე, გოგლიჩიძე, ლოჩოშვილი, გოჩოლეიშვილი, კიტეიშვილი, მექვაბიშვილი, ქოჩორაშვილი, დავითაშვილი, მიქაუტაძე, კვარაცხელია. ითამაშეს აგრეთვე გაგნიძემ, ლობჟანიძემ და ზივზივაძემ.

**ესპანეთი – ბულგარეთი 4:0.**

**სატურნირო მდგომარეობა 4 ტურის შემდეგ: ესპანეთი – 12, თურქეთი – 9, საქართველო – 3, ბულგარეთი – 0 ქულა.**

**15 ნოემბერს ითამაშებენ: საქართველო – ესპანეთი, თურქეთი – ბულგარეთი.**

სადღეისოდ მუნდიალ – 2026-ის საგზურის მფლობელები არიან: **აშშ, კანადა, მექსიკა, ავსტრალია, ირანი, იაპონია, იორდანია, სამხრეთ კორეა, უზბეკეთი, ალჟირი, ეგვიპტე, კაბო ვერდე, განა, მაროკო, ტუნისი, არგენტინა, ბრაზილია, კოლუმბია, ეკვადორი, პარაგვაი, ურუგვაი, ახალი ზელანდია, სენეგალი, კატარი, კოტ დივუარი, საუდის არაბეთი, ინგლისი, სამხრეთ აფრიკა.**

* * *

**ევრო – 2027.** საკვალიფიკაციო რაუნდი. მალტა – საქართველო 0:5. გოლები: **ხარებაშვილი, დადიანი, ტაბატაძე, ნარიმანიძე, ბასილაძე.**

# ფრანგთა რისხვა?



**ნიკოლოზ ბასილაშვილი ბრიუსელის ტურნირში მონაწილეობს, სადაც 1/8 ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა.**

ქართველმა ჩოგბურთელმა 1/16 ფინალში ფრანგი კვენტინ პალისი (ATP 77) მარტივად 2 სეტში 6:4,6:4 დაამარცხა და შემდეგ წრეში გავიდა, სადაც მისი მეტოქე კვლავ ფრანგი ჯოვანი მპეტიშ პერიკარდი იქნება. იგი 22 წლისაა და აღნიშნულ ტურნირზე მე-5 ნომრად არის განთესილი.

შეგახსენებთ, რომ ნიკოლოზ ბასილაშვილმა ბელგიაში ასპარეზობა საკვალიფიკაციო ეტაპიდან. დაიწყო, სადაც ორი შეხვედრა მოიგო.

# ჩეხური ხაფანგი

**საქართველოს მოქმედი ჩემპიონი „ქუთაისი“ შინ ფიბა ევროპის საკალათბურთო თასის გათამაშების პირველ ტურში ჩეხურ „ბრნოს“ დაუპირისპირდა და 66:84 დამარცხდა.**

მეტოქემ პირველივე პერიოდში 7-ქულიანი უპირატესობა მოიპოვა, რომელიც შემდეგ კიდევ უფრო გაზარდა. „ქუთაისმა“ მხოლოდ ბოლო მეოთხედში (27:16) მოახერხა ჩამორჩენის ოდნავ შემცირება.

„ქუთაისის“ რიგებში საუკეთესო **ნიკოლოზ დოლაბერიძე** იყო, რომელმაც 31 წუთში 18 ქულა და 3 მოხსნა მიითვალა, ხოლო **დერეკ ბროუნინგის** აქტივში 16 ქულა, 3 მოხსნა და 3 პასი იყო.

„ქუთაისი“ ჯგუფური ეტაპის მეორე ტურში 22 ოქტომბერს, საბერძნეთში „პერისტერის“ ესტუმრება.






# მოსკოვი საქართველოსთვის 253 მილიონი დოლარის კომპენსაციის გადახდას არ აპირებს!

**მოსკოვი არ გეგმავს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულებას, რომელიც საქართველოს 2008 წლის მოვლენების შემდეგ 253 მილიონი ევროს გადახდას გულისხმობს,** – ამის შესახებ რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივანმა **დიმიტრი პესკოვმა** განაცხადა.



**„ჩვენ გადაწყვეტილებას არ შევასრულებთ!,** – განაცხადა კრემლის წარმომადგენელმა.

**კითხვაზე, უშვებდა თუ არა ის, რომ გადახდამ შესაძლოა, რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობების დათბობას ხელი შეუწყოს, პესკოვმა აღნიშნა, რომ „მოსკოვი ამას ცალკე თემად, ცალკე საკითხად განიხილავს“.**

## სასამართლომ ლუკა კურტანიძე პატიმრობაში დატოვა

**მანამდე ადვოკატმა სასამართლოს 50 000-ლარიანი გირაო შესთავაზა.**



თუმცა, მოსამართლემ აღნიშნა, რომ არსებობს დანაშაულის განმეორების საფრთხე. სასამართლოს სიტყვით მიმართა თავად კურტანიძემაც.

**„დღესაც თამამად ვაცხადებთ, რომ ლუკა-ელდარ კურტანიძე იყო დიდი პროვოკაციის მსხვერპლი, რომელიც დაგეგმა მისმა ყოფილმა მეუღლემ. ამის მიუხედავად ის არ გაურბის თავის პასუხისმგებლობას, აღიარებს დანაშაულს 126 მუხლის, ძალადობის ნაწილში, ინანიებს თავის ქმედებას, მიაჩნია, რომ პროვოკაციის მიუხედავად მისი მხრიდან აღნიშნული ძალადობა არ უნდა განხორციელებულიყო,** – აცხადებს კურტანიძის ადვოკატი ივანე მეფარიშვილი. პროკურორ დავით კირჩხელის განცხადებით კი გამოძიების ეტაპზე კიდევ სხვა დანაშაულის ნიშნები გამოიკვეთა და კურტანიძეს დამატებით წარედგინა ბრალდება.

საქმის არსებითი განხილვა 29 ოქტომბერს დაიწყება. გამოძიება კურტანიძეს ყოფილ მეუღლეზე ძალადობას, ნივთის დაზიანებას, საკუთრების უფლების და დამცავი ორდერის დარღვევას ედავება.

## არადეკლარირებული ოქრო გაჰქონდათ

**შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საავიაციო უშიშროების სამმართველოს თანამშრომლებმა და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე-ოფიცრებმა, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ერთობლივად ჩატარებული ღონისძიების შედეგად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით არადეკლარირებული ოქროს ნივთების საქართველოდან გატანის ფაქტები აღკვეთეს.**

საავიაციო უშიშროების თანამშრომლებმა, შემოწმების პუნქტში, რენტგენული აპარატის მეშვეობით შესაბამისი პროცედურების გავლის დროს, უცხო ქვეყნის მოქალაქის ხელბარგში – ერთ კილოგრამამდე არადეკლარირებული ოქროს ზოდები აღმოაჩინეს, ხოლო უცხო ქვეყნის კიდევ ერთი მოქალაქის ხელბარგიდან – ნახევარ კილოგრამამდე 7 ოქროს მონეტა ამოიღეს. ამოღებული არადეკლარირებული ოქროს ნივთების საერთო ღირებულება 431 065 ლარს შეადგენს.

## მტკვარში ახალგაზრდა მამაკაცის ცხედარი იპოვეს

**თბილისის მახლობლად, მტკვარში ახალგაზრდა მამაკაცის ცხედარი იპოვეს.** არსებული ინფორმაციით, კაცი 10 დღის წინ გაუჩინარდა. როგორც „კვირას“ შსს-ში განუცხადეს, ფაქტზე გამოძიება 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

## სამი ძარცვა ერთ ღამეში იტალიაში 16 წლის ქართველი დააკავეს



**იტალიური მედია წერს, რომ ქართველი არასრულწლოვანი სამ ძარცვაშია ეჭვმიტანილი, მეოთხე ძარცვა კი მისთვის უიღბლო აღმოჩნდა.** მის თანამზრახველებს ამ დრომდე ეძებენ. მათივე ცნობით, მასთან ერთად მყოფი პირები სხვადასხვა ცივი იარაღით იყვნენ შეიარაღებულები.

## ბრიტანეთში ვირებმა ორი მსოფლიო რეკორდი დაამყარეს

**ინგლისის აღმოსავლეთით მდებარე საგრაფოს, ლინკოლნშირის ბინადარი ორი ვირი გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა. დიდი დერიკი, რომლის სიმაღლე 167 სანტიმეტრია, ცოცხალ ვირებს შორის ყველაზე მაღალია, მისი მეგობარი გამბუ კი, ცნობილი თავისი საოცარი, 35 სანტიმეტრის სიგრძის ყურების წყალობით გახდა.**

ვირები ერთმანეთის გვერდით, ნაკრძალში Radcliffe Donkey Sanctuary ცხოვრობენ. დერიკს, რომლის სიმაღლეც საშუალო მაჩვენებლებს 20 სანტიმეტრით აღემატება, მოხალისეებმა ნაზი გიგანტი შეარქვეს. ვირს უყვარს ადამიანების გარემოცვა და ყველგან დაჰყვება მათ, როგორც უზარმაზარი ძაღლი. სიმაღლის გარდა, დერიკი თავისი თანამოძმეებისგან ჯანჯაფილის ორცხობილების განსაკუთრებული სიყვარულით გამოირჩევა. სულ რაღაც ერთ კვირაში ის 200 კგ-მდე თივას და ტკბილეულს ჭამს.



**„არავის სჯერა, რომ დერიკი ვირია. ყველას ჯორი ჰგონია – ის უბრალოდ გიგანტურია!“,** – ამბობს თავშესაფრის დამაარსებელი ტრეისი გარტონი.

**„მას ყველაზე გრძელი ყურები აქვს, რაც კი ოდესმე მინახავს. წარმოუდგენლად საყვარელი და ძალიან მეგობრულია. თუმცა, ზოგჯერ ვფიქრობთ, რომ ასეთი ყურების მიუხედავად, მაინც არაფერი ესმის!“,** – ამბობს ტრეისი.

## ბრიტანელმა მეცნიერებმა დინოზავრების 166 მილიონი წლის წინანდელი 200-მდე ნაკვალევი აღმოაჩინეს

**მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ნაკვალევები ორი განსხვავებული სახეობის დინოზავრებმა – ზაუროპოდებმა და მეგალოზავრებმა დატოვეს, პალეონტოლოგებმა კი მათი „გასეირნება“ ციფრული ტექნოლოგიების მეშვეობით აღადგინეს.**

პირველი ნაკვალევები კარიერში ჯერ კიდევ შარშან აღმოაჩინეს. მას შემდეგ მეცნიერებმა კონტროლირებადი აფეთქებების დახმარებით ეს ბილიკი უფრო გააფართოვეს. სამუშაოები კარიერში ისევ გრძელდება. მეცნიერები ფიქრობენ, რომ კიდევ არაერთ აღმოჩენას გააკეთებენ, რომელიც იმ პერიოდის შესახებ ახალ ინფორმაციას მიაწვდის.

# განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

**საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს აზერ ალლახვერდიევის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.**

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** აზერ ალლახვერდიევი (პ/ნ 28001014448), მარნეული, ს. კირიხლო, მე-13 ქუჩის I ჩიხი N3

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** მარნეული, ს. კირიხლო, მე-13 ქუჩის I ჩიხი N3 (საკადასტრო კოდი: 83.08.07.167)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 51399.20 ლარი.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2025 წლის 16 ოქტომბერი, 12:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2025 წლის 28 ოქტომბერი, 14:00 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის N71271HZP116049025;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 1160490

**6. მოვალე:** აზერ ალლახვერდიევი (პ/ნ 28001014448), მარნეული, ს. კირიხლო, მე-13 ქუჩის I ჩიხი N3;

აინურა ალეკპეროვა (პ/ნ28001057867), მარნეული, ს. კირიხლო, მე-13 ქუჩის I ჩიხი N3

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. N40, სართული 11.

8. აუქციონის პირობები:

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის N71271HZP116049025; ლოტის ნომერი: 1160490).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2025 წლის 28 ოქტომბრის 10:00 საათამდე.

# „საზოგადოება ივერიისამ“ ქართული ქრისტიანული კულტურის ცენტრ-მუზეუმის დიზაინის პროექტი კულტურის სამინისტროს უსასყიდლოდ გადასცა

ხელშეკრულებას ხელი 15 ოქტომბერს კულტურის სამინისტროში კულტურის მინისტრმა **თინათინ რუხაძემ** და „საზოგადოება ივერიისას“ თავმჯდომარემ **გიორგი თავაძემ** მოაწერეს.

**„ამ გადაწყვეტილების მიზანი კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და პოპულარიზაციის საქმეში კულტურის სამინისტროს საქმიანობის მხარდაჭერაა.**

**მახათას მთაზე, ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის მიმდებარედ, უმაღლესი სტანდარტების სამეცნიერო-კვლევითი და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულების – ქართული ქრისტიანული კულტურის ცენტრ-მუზეუმის კონცეპტუალური დიზაინის შესაქმნელად საერთაშორისო კონკურსი 2019 წელს ჩატარდა.**

**კონკურსი საქართველოს მთავრობის, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და „საზოგადოება ივერიისას“ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე გამოცხადდა.**

## მაინც როგორია პორტუგალიელი არქიტექტორის პროექტი?



**ამავე მემორანდუმის შესაბამისად, „საზოგადოება ივერიისამ“ სრულად დააფინანსა გამარჯვებული პროექტის კონცეპტუალური დიზაინის შემუშავება, რომლის საერთო ღირებულებამ 250 000 ევრო შეადგინა. გამარჯვებული პროექტის ავტორია პორტუგალიელი არქიტექტორი ლუიშ ტავარეს პერეირა“**, – წერია ინფორმაციაში.

**„მადლობა მინდა, გადავუხადო „საზოგადოება ივერიისას“, რადგან დღეს, შეიძლება ითქვას, შეიქმნა პრეცედენტი, როდესაც ქართველი საზოგადოების დაკვეთით წამოწყებული ეს უმნიშვნელოვანესი პროექტი, შემდგომი განვითარებისთვის, სახელმწიფოს საჩუქრად გადმოეცა.**

**საქართველოს მთავრობასთან, ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან, მუნიციპალური განვითარების ფონდთან ერთად, ამ პროექტს სრულად განვახორციელებთ. მასში ჩართულები იქნებიან მეცნიერები, ხელოვანები და მთელი ქართველი საზოგადოება.**

**ვფიქრობ, ერთობლივი ძალებით, რამდენიმე წელიწადში შევძლებთ ამ ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესო სამეცნიერო-კულტურული ცენტრის გახსნას“**, – განაცხადა **თინათინ რუხაძემ.**

### ნინო ლაცაბიძე:

# ანსამბლი „რუსთავი“ კიდევ უფრო დიდი გეგმებით გვიბრუნდება!

**„რუსთავქალაქობა-2025“-ის საზეიმო ღონისძიებები ანსამბლ „რუსთავის“ კონცერტით დასრულდა. ინფორმაციას რუსთავის მერია ავრცელებს.**

მათივე ცნობით, რუსთავის მთავარ მოედანზე ანსამბლი მაყურების წინაშე თითქმის ორსაათიანი პროგრამით წარდგა.




**ანსამბლ „რუსთავქალაქობა-2025“-ის კონცერტი ანზორ ერქომაიშვილის 85 წლის იუბილეს მიეძღვნა და საქართველოს კულტურის სამინისტროსა და რუსთავის მერიის ორგანიზებით გაიმართა.**

„რუსთავქალაქობა-2025“-ის დასკვნითი ღონისძიება **ნიკოლოზ წულუკიძეს** და **გიორგი კალანდიას** მიჰყავდათ.

საზეიმო კონცერტს, რუსთავის მერი ნინო ლაცაბიძე, საქართველოს პარლამენტში რუსთავის დელეგატი **ირაკლი შატაკიშვილი,** საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილე **მაკა გურგენიძე,** ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებელი **ილია ჯალაღანია,** რუსთავის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრები, რუსთაველებთან და ქალაქის სტუმრებთან ერთად დაესწრნენ.

ნინო ლაცაბიძის თქმით, დღევანდელ დღეს, „რუსთავის“ გალა-კონცერტი სიმბოლურია.

**„რუსთავის მთავარ მოედანზე მთელი დღის განმავლობაში საოცარი განწყობა იყო. კიდევ ერთხელ ვულოცავ ჩვენს ქვეყანას და ჩემს ქალაქს სვეტიცხოვლობას, რუსთაველებს – „რუსთავქალაქობას“. დღევანდელ დღეს, „რუსთავის“ გალა-კონცერტი სიმბოლურია, რადგან ანსამბლი კიდევ უფრო დიდი გეგმებით ბრუნდება ჩვენს ქალაქში“. უახლოეს პერიოდში საქართველოს კულტურის სამინისტროს, რუსთავის მერიისა და ანსამბლ „რუსთავს შორის სამმხრივი მემორანდუმი გაფორმდება. მემორანდუმის თანახმად, რუსთავის კულტურის სახლში, რომლის რეაბილიტაციაც წლის ბოლომდე დასრულდება, ანსამბლ „რუსთავის“ ერთ-ერთი შემადგენლობა დაიდებს ბინას.**

მომღერალ **მიხეილ ჯავახიშვილის** თქმით, მნიშვნელოვანი სამომავლო ურთიერთობები დაიგეგმა.

**„ანსამბლი „რუსთავი“ ანზორ ერქომაიშვილის ხელმძღვანელობით 1968 წელს სწორედ რუსთავში დაარსდა. ჩვენ ქალაქ რუსთავთან დღეს ძალიან მნიშვნელოვანი სამომავლო ურთიერთობები დავგეგმეთ, რომელიც საგანმანათლებლო მიმართულებას გულისხმობს. სიმბოლურია, რომ ანსამბლი „რუსთავი“ წლების შემდეგ იმ ქალაქში ბრუნდება, სადაც პირველი ნაბიჯები გადადგა“,** – განაცხადა მომღერალმა **მიხეილ ჯავახიშვილმა.**

მემორანდუმის თანახმად, ქალაქი რუსთავი განაახლებს იმ ტრადიციულ ურთიერთობას, რომელიც ანსამბლ „რუსთავთან“ 1968 წელს მისი დაარსებისას ჰქონდა.



# „ჩვენ, ყველანი, ბავშვობიდან მოვდივართ“!..

**ეროვნული არქივის და საქართველოს ეროვნულ მუზეუმის ინფორმაციით,** გამოფენაზე წარმოდგენილია XVIII-XX საუკუნეებში მცხოვრები ქართველი, აზერბაიჯანელი, სომეხი, დაღესტნელი, ყუბაჩელი და თურქმენი ბავშვების აკვნები, სამოსი, სათამაშოები, ამულეტები, მუსიკალური საკრავები, შრომის იარაღები და ა.შ., ასევე, ორი საუკუნის წინ ბავშვების მიერ დამზადებული სამკაულები, ტანსაცმლის აქსესუარები და სხვა ნივთები, რომლებიც იმ ეპოქის კულტურულ თავისებურებას ასახავს. ეროვნული მუზეუმის გამოფენაზე წარმოდგენილი უნიკალური მასალა დამთვალიერებლებს იმ ეპოქის ბავშვების ცხოვრების შესახებ მრავალფეროვან ინფორმაციას აწვდის.

**გამოფენის ფარგლებში, მოსწავლეებისთვის შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც, ექსპოზიციის გაცნობის გარდა, სპეციალურად მოწყობილ საგანმანათლებლო სივრცეში ხელგარჯილობის საათის ჩატარებას ითვალისწინებს.**

# გამოვლინდნენ ველური ბუნების საერთაშორისო ფოტო-კონკურსის გამარჯვებულები

**ლონდონის ბუნებრივი ისტორიის მუზეუმმა საერთაშორისო ფოტოკონკურსის Wildlife Photographer of the Year გამარჯვებულები დაასახელა.**

წელს კონკურსის მთავარი ჯილდო სამხრეთაფრიკელ ფოტოგრაფს ვიმ ვან დენ ჰივერს ხვდა წილად ფოტოსთვის, რომელზეც მან ნამიბიაში ჰიენას გადაუღო. ფოტოგრაფის თქმით, ამ სურათის გადასაღებად მას 10 წელი დასჭირდა.



საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებით ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი, თემურ ქორიძე, ოთარ ტურაბელიძე, გია პლატონიშვილი.**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია, მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოგებჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი
uac(უაკ)070.4(479.22)
C–323

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

**მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 20 ოქტომბერს**